

საქართველოს
საგაზეთო
საერთო

რა საჭიროა საქართველოში ბოსკამპი?!



გიორგი
კიკნაძის
აზრით,
„დინამო“
ეროვნულ
ჩემპიონატს
უბოსკამპოდაც მოიგებს

ზურაბ ტომარაძე რევოლუციონერი არ არის

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ახალი მწვრთნელი თურქეთში მოინათლება



ზურაბ ტომარაძე

ზურაბ ტომარაძე

მართლ კალათბურთის ახალი დროება დაუდგა. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ფედერაციამ ზურაბ ტომარაძეს მიანდო. მან ამ პოსტზე შეცვალა ლევან მოსეშვილი, რომლის ოცდაექვსწლიანი სამწვრთნელო კარიერა და ამ ხნის მანძილზე მომწვებული ავტორიტეტი ბოლო წელიწადნახევარმა შელახა. ეს ის პერიოდაა, როდესაც მოსეშვილის თავკაცობით საქართველოს ნაკრებმა ყველაფერი წააგო... აღმასკომის სხდომამ ასე გადაწყვიტა: ლევან მოსეშვილი გათავისუფლდა თანამდებობიდან. მის ადგილზე ახალგაზრდა მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე დაამტკიცეს. ერთი შეხედვით, ამაში მოულოდნელიც არაფერია, თუმცა ნამდვილქართული უცნაურობა მაინც ვერ ავიცილეთ: სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს კალათბურთის ფედერაციის ნაუცბათევი და მეტიც, ლამის მიუშვამივითი გადაწყვეტილება. რაც იყო, იყო! „ვითას“ ორჯერ გამწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ახლა უკვე მართო შვიდგზის ჩემპიონის მწვრთნელი აღარაა. მას ეროვნული ნაკრების გაძლიერება, ჩვენი კალათბურთის უბირველესი გუნდის მიანდეს. დაუგუგავშირდით, ინტერვიუ ვთხოვეთ. — თორმეტ საათზე „ვითას“ ოფისში, იქ ვისაუბროთ...

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

უფრთხილდით კლავდიოს!

კვირას ესპანეთის სუპერთასის პირველი მატჩია. თასის მფლობელი „ვალენსია“ ჩემპიონ „ბარსელონას“ ხვდება. კატალონიელებს განსაკუთრებით „ვალენსიას“ არგენტინელი კლავდიო ლოპესის ემინიათ

ნუთუ მართლა აფრიკაში?

სამხრეთ აფრიკის მთავრობას მტკიცედ გადაუწყვეტია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მათმა ქვეყანამ უმასპინძლოს

ახალი პრემიერლიგა ოთხი პრემიერით

დღეს
პრემიერლიგა
ისევ
გახურდება.
ბრიტანელი
ჟურნალისტები
ჩემპიონობის მთავარ
კანდიდატებად მანჩესტერ
იუნაიტედს, არსენალს,
ჩელსისა და ლიდსს
ასახელებენ



ბრაზილიელი გაბვიფრინდა ბოსკამპი, დე იონგი და დონდტი ჯერაც თბილისელები არიან

ბუშინ ისეთი ხმები დაირბა, ვიფიქრეთ, არიქა, ეგ არის, „ზიმბრუსთან“ წაგების შემდეგ თბილისის „დინამო“ სანახევროდ გაიცილა, ეროვნულ ჩემპიონატსაც ფაქტობრივად, ახალი შემადგენლობა დაიწყებსო. ეს ხმები რომ გაზვიადებულია, თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა რომან შოთაძემაც დაგვიდასტურა. — ეროვნული ჩემპიონატისთვის „დინამო“ პრაქტიკულად ძველი შემადგენლობით მოემზადება. ჯერჯერობით მხოლოდ ერთია გადაწყვეტილი — „დინამოში“ აღარ ითამაშებს ბრაზილიელი ანდრე სილიუ დე სოუზა, ის ბრაზილიაში გაფრინდა. დანარჩენი უცხოელები კი ისევ თბილისში არიან და კვლავაც დარჩებიან. მათთან გვაკავშირებს ექვსთვიანი კონტრაქტი, რომელიც ნოემბრის დასაწყისში იწურება. გუნდში დარჩება გიორგი კიკნაძეც. იგი კონტრაქტით დინამოელია, წასვლით კი უჩვენოდ ვერსად წავა. რაც შეეხება დავით ჭიჭვიშვილს, რომელიც ჩვენ „ბათუმს“ გვათხოვა, მას ვლადიკავკაზის „ალანია“ ეპატივება და, ალბათ, დღე-დღეზე ქაუბრობას მიაშურებს პირობების გასარკვევად. უფრო ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით. „ზიმბრუსთან“ თამაშის შემდეგ ბიჭებს ორდღიანი დასვენება ჰქონდათ, ალბათ, ხმებიც იმიტომ დაირბა, რომ დღემის ბაზაზე არაფერი იყო. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაინც მწვრთნელის, პოლანდიელი იოჰან ბოსკამპის მომავალი გახლდათ. რომან შოთაძის თქმით, მართალია, საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ ბოსკამპს, მის თანაშემწე დე იონგსა და მეკარე დონდტსაც კონტრაქტი ნოემბერში უმთავრდება. ალბათ, იქამდეც თბილისში დარჩებიანო. ორიოდ დღის წინ კი რაც „სარბილში“ გვეწერა, ალბათ, „ზიმბრუსთან“ მარცხით იყო განპირობებული — კიშინიოველებთან წაგების შემდეგ ემოციების დაოკება მართლაც ძნელი გახლდათ და, რაც „ზიმბრუსთან“ მატჩიდან ნახევარ საათში გვითხრეს (ოღონდ არა რომან შოთაძემ), ჩვენც ის გაუწყეთ. **კობა ინასარიძე**



დე სოუზამ „ზიმბრუსთან“ ვერ „იფრინა“ და შინაც გაფრინდა


საქართველოს
საგაზეთო
საერთო



ვერ გეტყვი, რომ „ზიმბრუ“ — „დინამოს“ მოლდოვური მატჩის შემდეგ მარადი ჩემპიონის რიგებში რაიმე კონფლიქტმა დაიბუღა. ამის საფუძველი ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ კომპიუტერული მატჩის შემდეგ ბევრმა გადახედა თავის საქმეს და მდგომარეობას — ხელმძღვანელობაც, მწვრთნელმაც, ფეხბურთელმაც.

ვინ როგორ შეაფასებს და გადააფასებს მოვლენებს, დრო გვიჩვენებს, მაგრამ იმათგან პირველი, ვინც უცერემონიოდ გამოხატა თავისი პოზიცია და თავისი ქმედებითაც დაადასტურა, უდავოდ გიორგი კიკნაძეა. ჩამოვიდნენ თუ არა თბილისში, გიორგიმ გუნდიდან წასვლაზე განაცხადა და გუშინდელ დილის ვარჯიშს არც დასწრებია.

ბუნებრივია, „სარბიელი“ გვერდს ვერ აუვლიდა მსგავს შემთხვევას და ფეხბურთელს ვთხოვეთ, ერთხელაც აეხსნა და დაესაბუთებინა თავისი პოზიცია:



რთელის, შეხედულება მასზე... — მე ვთვლი, რომ მწვრთნელის კვალიფიკაციას უპირველესად განსაზღვრავს შედეგი. შედეგს ყველა ნათლად ვხედავთ. აქედან გამომდინარე, მე ვეთანხმები იმ უმრავლესობას — გულშემატკივრებს, ფეხბურთელებს — რომელთაც უკვე გარკვეული შეხედულება ჩამოუყალიბდათ ბოსკამპის შესახებ. ხალხს ვერაფერს გამოაპარებ.

— გიორგი, გასაგებია, რისი თქმაც ვინდა, მაგრამ „ზიმბრუსთან“ მატჩი ვერც გუნდმა ჩაატარა მიაღალ ღონებზე.

— ბოსკამპს რომ ვაკრიტიკებ, ამით გუნდს როდი ვხსნი პასუხისმგებლობას, აშკარაა, ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ერთხელაც ვიმეორებ, რომ არა ის უცნაური ტაქტიკური გადაადგილებები, „ზიმბრუს“ დაეძლევილი.

— ახლა დე სოუსანზე გვითხარი. ამ ორი მატჩიდან გამომდინარე, დიდი ვერაფერი შეიქცა, მაგრამ მწვრთნელი აშკარად სწყყარობს. ეგზე ვარჯიშებზე მართლა ეტყობა სიძლიერე და ოფიციალურ თამაშებში უბრალოდ, ჩაგარდნა ჰქონდა?

— დე სოუსა ზუსტად ისეთი ეფექტური იყო, როგორც მოლდოველებთან მატჩებში გამოჩნდა და როგორადაც ხალხმა გაიკნო. გულშემატკივარს მართლა ვერაფერს გამოაპარებ.

— როგორ ფიქრობ, გააგრძელებს ბოსკამპში „დინამოში“ მუშაობას?

— იგი უფრო იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოეხვედრებინა. მან ეს ვერ შეძლო და ახლა რას იზამს, ვერ გეტყვით. არ ვიცი „დინამოს“ ხელმძღვანელობის პოზიცია. ისე, თბილისის „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატს ვისი თავკაცობითაც ვინდა, მოიგებს, ამისთვის ბოსკამპის მწვრთნელთა სულაც არ არის აუცილებელი.

კონსტანტინე გოგივილი

გიორგი კიკნაძე: პროვულ ჩაპოონაბს დინამო უპოსაპოდას მოიბაბს

— გიორგი, „დინამო“ რომ დატოვა, უკვე ყველამ გაიგო, მიზეზი აგვისსენი თუ შეიძლება...

— უკვე ვხვდები, რომ ხალხი არაერთგვაროვნად მიიღებს ჩემს გადაწყვეტილებას, გუნდიდან წასვლის თაობაზე. არავითარ განსაკუთრებულ შემთხვევას ადგილი არა აქვს, „დინამომ“ დაკარგა ევროტურნირებზე მონაწილეობის შანსი, საქართველოს ჩემპიონატში თამაში კი არ მსურს. სწორედ ეს ვუთხარი გუნდის ხელმძღვანელობას, მათაც სწორად გაიგეს ჩემი ნათქვამი და არც ხელი შეუშლიათ. ის კი არა, რომელიმე საზღვარგარეთული გუნდის მოძებნაში თავად აღმოიქცეს დახმარება. სამიოდ დღეში ჩემი მომავალი ადგილსამყოფელიც გაირკვევა, მანამდე კი ერთი გადაწყვეტილი — საქართველოში თამაშს აღარ გავაგრძელებ.

— ასეთ მოკლე დროში უცხოური კლუბის მოძებნა გარკვეულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. საინტერესოა, ამაში ხელს ვინ შეგიწყობს, პირადი აგენტი, თუ საკუთარი ნაცნობობის წყალობით აპირებ რამეს?

— რა თქმა უნდა, საქმის კურსში არიან საფეხბურთო აგენტებიც. ისინი უკვე მუშაობენ, რათა შესაფერისი ვარიანტი გამომიძებნონ, თანაც „დინამოს“ ხელმძღვანელობაც დაინტერესებულია ჩემი შემდგომი ბედით. ასე რომ, არა მგონია, დიდი პრობლემის წინაშე ვიდეგ.

— მკითხველსთვის საინტერესო იქნება „ზიმბრუ“ — „დინამოს“ მატჩის შედეგული კომენტარი...

— აბა, რა უნდა ვთქვა. ეს იყო

ნამდვილად ცუდი მატჩი. ვერ ვითამაშეთ და დავმარცხდი ისეთ გუნდთან, რომელთან წაგებაც, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. მაგრამ ერთსაც ვიტყვი, თბილისის „დინამოს“ რომ იგივე ტაქტიკით ეთამაშა, როგორც აივს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე პირველ შეხვედრაში, „ზიმბრუს“ აუცილებლად დავძლევიდი, მაგრამ მწვრთნელის ტაქტიკურმა გადაადგილებებმა აურ-დაურია ყველაფერი. ფეხბურთელებმა უბრალოდ არ ვიცოდით, ვის სად უნდა ეთამაშა. ამან რა შედეგიც გამოიღო, ყველამ ვნახეთ.

— ამ შეხვედრის ანტიგმირად თითქმის ყველა მწვრთნელს მიიჩნევს. არადა, ბოსკამპში, პირადად ჩემი აზრით, არც ასე დაბლაგავლი ფიციფიური მწვრთნელია. საინტერესოა შენი, როგორც ფეხბურთელის, შეხედულება მასზე...

რეპორტაჟი დიდების ბაზ(რ)იდან

კარგა ხანს მომიხდა ლოდინი, სადა ჩემთვის და მკითხველისთვის სასურველ რამეებს დაგაზუსტებდი. საინტერესოა კი შემდეგი იყო:

1. მართლა წავიდა თუ არა გუნდიდან იოჰან ბოსკამპი?
 2. მართლა დატოვა თუ არა „დინამო“ გიორგი კიკნაძე?
 3. რა აზრი აქვს „დინამოს“ ხელმძღვანელობას გუნდში არსებულ ამჟამინდელ სიტუაციაზე?
- მივეცეთ თანმიმდევრობით: იოჰან ბოსკამპი „დინამოდან“ არსად წასულა. იგი ჩვეულებრივად გამოცხადდა საწვრთნელ ბაზაზე ფრანსუა

დე იონგიურთ. ჩვეულებრივად ჩაატარა ვარჯიში და დინამოელებიც ორდღიან „შეგებულებაში“ გაუშვა. პოლანდიელი თავისი ინიციატივით გუნდიდან წასვლას არ აპირებს.

გუნდი დატოვა არა მარტო გიორგი კიკნაძე, არამედ დავით ჭიჭვიევიც. ეს უკანასკნელი მალე „ალანის“ მასურით ითამაშებს რუსეთის ჩემპიონატში. რაც შეეხება გიორგი კიკნაძეს, ფეხბურთელთან ინტერვიუს „სარბიელის“ დღევანდელ ნომერში შემოგთავაზებთ. იმ დროისთვის, როცა ეს რეპორტაჟი იწერებოდა, „დინამოს“ ხელმძღვანელობის აზრი არ იყო ცნობილი. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ გუნდის მამებს წინა დღით სერიოზული ლაპარაკი ჰქონდათ იოჰან ბოსკამპთან და შიდასაგუნდო თათბირზე უნდა გადაწყვიტათ, დარჩებოდა თუ არა ბოსკამპი „დინამოს“ მწვრთნელის პოსტზე.

კვარაცხელია ავროპაზე მიინევის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უფადან ფაქსი მოვიდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ 7 სექტემბერს გასამართ ევროპის ჩემპიონატის IX შესარჩევი ჯგუფის მატჩს, ჩეხეთსა და ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის ქართველი სერგო კვარაცხელია განსჯის. ამავე დროს ფეხბურთის ფედერაციამ დროულად უნდა უზრუნველყოს კვარაცხელიას შესაძლო თანამშრომელ ვინაობის დადგენა. მასვე ევალება სათადარიგო მსაჯის შერჩევა. ეს ყველაფერი უფასოსთვის 13 აგვისტომდე უნდა იყოს ცნობილი.

ვის შეარჩევს კვარაცხელია თანამშრომლებად და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიც მიიღებს თუ არა ამ კანდიდატურებს, ამას ახლო მომავალში შეეცდებით.

ერთი კი ფაქტია — ქართველი მსაჯები ნელ-ნელა ევროპასაც გაუშინაურდნენ.

ამასწინათ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის მატჩის ჩრდილოირლანდიურ „ნური თაუნსა“ და ხორვატულ „პრვატსკი დრაგოვილაცს“ შორის, რომელიც ჩრდილოირლანდიელებმა 2:0 მოიგეს, სწორედ ქართველ მსაჯთა ბრიგადა წარუძღვა. არბიტრი, რა თქმა უნდა, სერგო კვარაცხელია იყო, თანამშრომლები კი — ალექსანდრე შილაკაძე და კანა მესხი. უფას მადლობა გადაუხდია კარგი მსაჯობისთვის და მათ უმაღლესი შეფასებაც მიუღიათ.

ასე რომ, კვარაცხელია წინ მიიწევა.

ბილი. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ გუნდის მამებს წინა დღით სერიოზული ლაპარაკი ჰქონდათ იოჰან ბოსკამპთან და შიდასაგუნდო თათბირზე უნდა გადაწყვიტათ, დარჩებოდა თუ არა ბოსკამპი „დინამოს“ მწვრთნელის პოსტზე. თქმა არ უნდა, მორიგი რია-რიაა დიდების ბაზაზე. ამჟამინდელი გარეგნული სიჩუმის მიუხედავად, იგონობა დაძაბული ვითარება. ეს უფრო ისეთ სიჩუმეს ჰგავს, ჭკპა-ჭუხილის წინ რომ ჩამოვარდება-ხოლმე.

ლუკა თალაბაძე

ზირაქიშვილი დინაეოელი?

ამბს წინათ ვწერდით, რომ თუ „დინამოს“ მოლდოვური „ზიმბრუს“ ბარიერი დაძლია, ყოფილ არსენალელ ზაზა ზირაქიშვილს ჩემპიონთა ხელმძღვანელობა „ასე ეინდოვნიან“ მატჩებისთვის შეიყვანდა განაცხადში. „დინამო“ შერცხვა „ზიმბრუსთან“ და პოლანდიელებთან თამაშზე ოცნებამაც ჭირი მოგვამათ, მაგრამ, ბუნებრივია, დავიწყება კითხვა, რას უპირებს „დინამო“ ზირაქიშვილს, პირობას დაარღვევს, თუ გუშინ სწორედ ამის თაობაზე ზაზა ზირაქიშვილს მივმართეთ:

— ალბათ, არაფერი შეიძლება და „დინამოს“ განაცხადშიც აუცილებლად შემიყვანენ. „არსენალში“ ნაღდად არ მსურს დარჩენა. რა ვიცი, გუნდთან ერთად კი ვვარჯიშობ, მაგრამ გადაჭრით არც პოსტს მუშაობიან და არც არას. კლუბის ხელმძღვანელობასთან უნდა მესაუბრა, მაგრამ ვერ მოხერხდა. ჩემი



ზაზა ზირაქიშვილი

მონაცემებიც კი ჩაინიშნეს, ვნახოთ. ახლა ბოსკამპმა ორი დღით ყველა შინ გაგვიშვა, ვარჯიში ორშაბათიდან განახლდება.

გიორგი ვაშაძე

— ვააგვს. — ეგ ვიცი, იმას რა უქნეს? — წავაო, თუ წავიდაო, თუ — რას შერბა, ხედავ? მოყავს ვილაციეები, — ჩაიროთო მიაკაცი — მეკარე მოიყვანა. ჩვენმა მეკარეებმა რა ქნან? აბა, რა ვთქვა? არ მიყურებია, მხოლოდ ვისმენდი, მაგრამ ვიცი — თუკი ვინმე გამოგვადგა, მეკარე. მეკარე გვყავს, თუ გვყავს. — ერთადერთი, რაც ვიფიქრე, ძია კაცი რომელიმე ჩვენი მეკარის ნათესავი ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ მალევე უარყავა. ეგ ეს აზრი, რაღვან მიგხვდო, რომ ამ ძიყაცს უბრალოდ ვაგუგონა, უცხოელი მეკარე გვყავსო.

გიორგი ვაშაძე

ტოტენჰემური ბატალიები

ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელის ოივინდ ლეონარდსენის ტანჯვას ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ლივერპულში“, ალბათ, მალე მოეღება ბოლო. ნახევარცენტრალის ინგლისის მეორე კლუბი — ლონდონის „ტოტენჰემი“ ეპატივება და თავად „ვიკინგი“ არა უარზე, უაით ჰარტ ლეინზე (ტოტენჰემელთა სტადიონი) გადასვლა სურს.

ლეონარდსენი უახლოეს მომავალში ლონდონში ჩავა და „ტოტენჰემის“ წარმომადგენლებს შეხვდება. თუ ფეხბურთელმა და მისმა მსურველმა კლუბმა ყველა საკითხი შეთანხმეს, ტრანსფერიც შედგება. რაც იმას ნიშნავს, რომ „ტოტენჰემი“ „ლივერპულს“ 26 წლის ფეხბურთელში 2 მილიონ გირვანქას ანუ 3,2 მილიონ დოლარს გადაუხდის.



ოივინდ ლეონარდსენი

ნორვეგიის ნაკრებში 61-ჯერ ნათამაშევი ლეონარდსენისთვის გასული სეზონი კომპარად იქცა — „ლივერპულს“ შემადგენლობაში მხოლოდ ცამეტჯერ ითამაშა, თანაც ამას კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გაუარესება მოჰყვა. ისე, ლეონარდსენის გადაბირებას „ტოტენჰემი“ ერთხელ უკვე ცდილობდა — ხუთი წლის წინ ეპატივებოდნენ, მაგრამ მან რატომღაც „უიმბლდონში“ გადასვლა ამჯობინა. შემდეგი უტაპი „ლივერპული“ იყო.

„ტოტენჰემის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ლეონარდსენის შემენა პრემიერლიგის დაწყებამდე სურთ. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები დღეს იმართება, „ტოტენჰემი“ თანაქალაქელ „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ ხვდება. თუ ფეხბურთელმა „ტოტენჰემში“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით ჩაატარა, ტრანსფერს ხელს ველარაფერი შეუშლის.

უხდის. ანდერტონმა ეს წინადადება უარყო, თუმცა ისიც დასძინა, რომ არ სურს „ტოტენჰემის“ დატოვება. ნახევარცენტრალის „ტოტენჰემთან“ კონტრაქტი მომავალ წელს იწურება, ის ამბობს, რომ გუნდის დატოვებას თავისუფალი აგენტის სტატუსით არ აპირებს.

ლონდონელთა მწვრთნელი ჯორჯ გრემი აცხადებს: „ანდერტონს საუკეთესო კონტრაქტი შევთავაზებ, ისევე როგორც უინოლას. უინოლა დაგვთანხმდა, ანდერტონი კი არა, ეს ჩვენთვის საწყენია. რატომ არ მოაწერა მან ხელშეკრულებას ხელი, ვერ ვეტყვი. ისე კი თქვა, რომ მიზეზი ფული სულაც არაა“.

„ტოტენჰემის“ წარმომადგენელმა დევიდ კოპერმელმა განაცხადა, რომ გუნდი ყველანაირად ეცდება, რომ კლუბის ფეხბურთელებთან სრული პარმონია ჰქონდეს.

კობე მანტაძე

შვედური კლუბის სტოკჰოლმის აიკის განცხადებით, ქვეყნის ნაკრებისა და ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ანდრეას ანდერსონმა 25 წლის ანდერსონი იტალიურ „მილანს“ და ინგლისურ „ნიუკასლში“ გატარებული ორი წლის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება.

„მსურდა, სხვა ქვეყანაში გადასულიყავი და არა შევდეთში, მაგრამ ავწონ-დავწონე, სიტუაცია და მივხვდი, რომ ჩემთვის მაინც აიკ-ში დაბრუნება აჯობებდა. რაც უნდა იყოს, შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ“ — განაცხადა ფეხბურთელმა. შევდეთის ჩემპიონი აიკი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო წრის საპასუხო მატჩში ბელარუსის „დნეპრტრანსმაშს“ 2:0 სძლია, იმედოვნებს, რომ ანდერსონი გუნდს ბერძნულ აეკთან სათამაშოდ ძალიან გააძლიერებს. გუნდის მწვრთნელმა სტიუარტ ბაქსტერმა განაცხადა: „ანდერსონის გადმოსვლის შემდეგ აიკის თავდასხმა სულ სხვა იქნება. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს“. იტალიასა და ინგლისში გადასვლამდე ანდერსონი შევდეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბის — „ვიოტებორგის“ ღირსებას იცავდა და ქვეყნის ჩემპიონატში ნათამაშევი 69 მატჩში 48 გოლიც შეაგდო.

ინგლისში „ჩელსის“ იტალიელი თავდამსხმელი პიერლუიჯი კაზირაგი, როგორც ჩანს, ვერც ახალი სეზონიდან დაეხმარება თავის კლუბს. მას ჯერ კიდევ ცხრა თვის წინ მიღებული ტრავმა ჯერაც ვერ მოუშუშებია. „წარმოდგენა არ მაქვს, როდის შევძლებ თამაშს. ერთადერთი, რაც მინდა, ისაა, რომ მწვანე მინდორს დაგვბრუნდეს და ერთი მატჩის ჩატარება შევძლო. სულერთია ეს სერია C-ში იქნება, თუ პრემიერლიგაში“ — განუცხადა 30 წლის იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა ინგლისურ გაზეთ „სანს“. შეგახსენებთ, რომ კაზირაგი არისტოკრატებს შარშან „ლაციოლიდან“ შეუერთდა 899 მილიონ დოლარად, თუმცა მას შემდეგ „ჩელსის“ ღირსება მხოლოდ 12-ჯერ დაიცვა. მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა გასულ შემოდგომის „გესტ ჰემთან“ შეხვედრა, რომლის დროსაც იტალიელმა „ჩაქქითა“ მეკარე მყა პისლოპთან შეტაკებისას ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო.

ამერიკის ქალ ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც ახლახან გასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ოქტომბრიდან „გამარჯვების ტურში“ მიიღებს მონაწილეობას. ამ ღონისძიებას, რომელიც 22 ოქტომბერს პიტსბურგში დაიწყება და 15 დეკემბერს პორტლენდში დასრულდება, ამერიკული კორპორაცია „თიზ ერ აზი“ სპონსორებს. ტურნეს განმავლობაში ფეხბურთელი ქალები 12 ამხანაგურ თამაშს გამართავენ ამერიკის სხვადასხვა ქალაქში.

წმენდა კატალონიაში

„ბარსელონაში“ კვლავ წმენდაა — ახალი სეზონის წინ ესპანეთის უძლიერესი კლუბი გამოუსადეგარ ფეხბურთელებს ასხვისებს.

გუშინ კატალონიურმა კლუბმა გააერცვლა ინფორმაცია, რომ ნახევარცენტრალ ალბერტ სელადესი ვიგოს „სელტაში“ გადავიდა. სატრანსფერო თანხაზე არაფერი თქმულა.

სელადესი „ბარსელონას“ 1994 წელს შეუერთდა 18 წლის ასაკში, მაგრამ მას შემდეგ ავერ უკვე ხუთი წელიწადი გამოხდა, მან კი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. გასული სეზონის მიწურულს „ბარსელონას“ პოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა სელადესს განუცხადა, ახალი კლუბი მოეძებნა, გუშინ კი ფეხბურთელი წავიდა „ბარსადან“.

ესპანურ გაზეთ „მარკას“ ცნობით, ალბერტ სელადესმა ვიგოელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელს მადრიდის „რეალიც“ ეპატივება და სელადესს იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონში „სამეფო კლუბში“ გადავა.

ახალი სეზონის დაწყებამდე „ბარსელონამ“ უკვე შვიდი ფეხბურთელი გაასხვისა. ბრაზილიელი თავდამსხმელები — სონი ანდერსონი და ჯოვანი შესაბამისად ფრანგულ „ლიონში“ და ბერძნულ „ოლიმპიკოსში“ გაუშვა, ზორვატი მცველი დრაგან ჩირიჩი საბერძნეთის კიდევ ერთ კლუბ — აეკ-ში გაყიდა, როზერი ფრანგულ „მონაკოს“ დაუთმო, ოსკარი — „ვალენსიას“, ნიგერიელი მცველი გბენგა ოკუნოვო — პორტუგალიურ „ბენფიკას“, არგენტინელ მაურისიო პელეგრინო კი სამშობლოში, „ველეს სარსფილდში“ დააბრუნა.

არაა გამორიცხული, ჩემპიონატის დაწყებამდე „ბარსადან“ წასულ ფეხბურთელთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს — გაალის თქმით, მას მცველი მიგელ ანხელ ნადალი არ სჭირდება.



ალბერტ სელადესი



ვიხე-შევირფასე

ნიკოლა ანელიკა სამეფო კლუბში გადავიდა. დასრულდა გაუთავებელი ბჭობა და დაბაბულობა, რომელიც ამ ფეხბურთელის გუნდის გამოცვლას ახლდა თან. აქეთ „არსენალი“ ითხოვდა ანელიკასთან ლონდონში ჩასვლას და კლუბთან ერთად ვარჯიშის განახლებას, იქით ფრანგის მსურველი კლუბები — „ლაციო“, „იუვენტუსი“ და „რეალი“ არ ცხრებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლონდონელთა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, ანელიკა „არსენალში“ რომ დარჩეს, მაინც არ ვათამაშებო.

ტრანსფერი ოთხშაბათს შედგა — მადრიდის „რეალმა“ 20 წლის ფეხბურთელში არც მეტი, არც ნაკლები, 35,7 მილიონი დოლარი გადაიხადა. მადრიდელთა გაღებული თანხის წყალობით ნიკოლა ანელიკა მსოფლიოს ვიცე-უპრემიერფასესი ფეხბურთელი გახდა კრისტიან ვიერის შემდეგ. სხვათა შორის, ვიერის გაუგონარი ტრანსფერიც ამ ზაფხულს შედგა.

მსოფლიოს ვიხე-შევირფასე ტრანსფერები (თანხა დოლარებში)			
პრისტიან ვიერი	1999	„ლაციო“ (იტალია)	„ინტერი“ (იტალია) 50
ნიკოლა ანელიკა	1999	„არსენალი“ (ინგლისი)	„რეალი“ (ესპანეთი) 35,7
დანილსონი	1998	„სან პაულუ“ (ბრაზილია)	„ბეტისი“ (ესპანეთი) 35
პრისტიან ვიერი	1998	„ატლეტიკო“ (ესპანეთი)	„ლაციო“ (იტალია) 28
რონალდო	1997	„ბარსელონა“ (ესპანეთი)	„ინტერი“ (იტალია) 27,9
რივალდო	1997	„დებორტივო“ (ესპანეთი)	„ბარსელონა“ (ესპანეთი) 26,7
ანდრეი შვიჩანკო	1999	„დინამო“ (უკრაინა)	„მილანი“ (იტალია) 25
ალან შირარი	1996	„ბლექბერნი“ (ინგლისი)	„ნიუკასლი“ (ინგლისი) 23,3
ჟანლუიჯი ლანტინი	1992	„ტორინო“ (იტალია)	„მილანი“ (იტალია) 21,5
დუაიტ იორკი	1998	„ასტონ ვილა“ (ინგლისი)	„მანჩესტერი“ (ინგლისი) 20,5
რონალდო	1996	„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)	„ბარსელონა“ (ესპანეთი) 20
იან სტამი	1998	„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)	„მანჩესტერი“ (ინგლისი) 19,9
მარსელო სალსი	1998	„რივერ პლეტი“ (არგენტინა)	„ლაციო“ (იტალია) 19,7
ხუან სებასტიან ვირონი	1998	„სამპდორია“ (იტალია)	„პარმა“ (იტალია) 19,7
ჟანლუკა პიალი	1992	„სამპდორია“ (იტალია)	„იუვენტუსი“ (იტალია) 19,6
პრისტიან ვიერი	1997	„იუვენტუსი“ (იტალია)	„ატლეტიკო“ (ესპანეთი) 19,3
შუნინი	1997	„მიდლსბრო“ (ინგლისი)	„ატლეტიკო“ (ესპანეთი) 19,3
სონი ანდერსონი	1997	„მონაკო“ (საფრანგეთი)	„ბარსელონა“ (ესპანეთი) 19,3
ივან დე ლა პენი	1998	„ბარსელონა“ (ესპანეთი)	„ლაციო“ (იტალია) 17,0
ტიერი ანრი	1999	„იუვენტუსი“ (იტალია)	„არსენალი“ (ინგლისი) 16,5

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

99 67 67, 98 30 20



მთვარის მზა

შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიასა და კორეაში იენის მიწურულიდან მთვარის მზიანი სეზონი იწყება. პოეტური სახელწოდება არა? სინამდვილეში კი აქ პოეზია ნაკლებად, მით უფრო, საქმე ფეხბურთს ეხება, რადგან მთვარიან მზეში ბურთობა მტერს და ავს.

მიხვდით, ალბათ. საუბარია სეზონზე, როდესაც შორეულ აღმოსავლეთში გადაუღებლად წვიმს და 2002 წელსაც ზუსტად ასე იქნება. 2002 წელს, მოგეხსენებათ, შორეული აღმოსავლეთი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს.

კარგა ხანია იაპონელები და კორეელები ფიფას, მთვარიანი მზის თავიდან ასაცილებლად, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვეულებრივად ადრე დაწყებასა და შესაბამისად დამთავრებას სთხოვენ. ფიფაც მსჯელობს, მაგრამ ვაი ამ მსჯელობას. ოპოზიცია ძალიან ძლიერი ჰყავს და მას ვეროვა ჰქვია.

საქმე ის გახლავთ, რომ თუ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი აზიელთა თხოვნის შესაბამისად 23 მაისს დაიწყება, ევროპაში თავიანი ნაჩვევად გამოცდილი ეროვნული კალენდრების გადაკეთება და დამახინჯება მოუწევთ, ეს კი წამყვანი საქმეა.

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი

შეგი, გორდონ ტელორი, მთვარის მზის გამო სეზონის დამახინჯების საკითხს ძალიან შეუშფოთებია.

„როგორც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობით იაპონიისა და კორეის დაჯილდოების დროს არავის არაფერი გაუთვალისწინებია. დავიწყეთ იმით, რომ ერთდროულად ორი ქვეყნის არჩევა პრაქტიკული მოსახრებებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ პირწმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ. არადა, ვალდებულნი იყვენ ჯერ კონკრეტული ქვეყნის პირობები შეეწავალათ და მერე დაეწყეთ ანალიზი“ — ამბობს იგი.

დაიხ, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დაწყების თარიღი უცნობია, მაგრამ მიმოხილველები თვლიან, რომ... მოეუსაბინოთ ASIAN FOOTBALL NEWS-ის რედაქტორს მიკელ ჩერჩს:

„ჩემი აზრით, თუ შევეცდებით მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიისა და კორეაში იენისში, მით უფრო კი ივლისის დასაწყისში ჩავატაროთ, აუცილებლად შევეჯახებით კლიმატურ პრობლემებს. ამასწინათ გახლდით კორეაში, როდესაც ქვეყანას ტაიფუნი „ოლგა“ მიაწყდა და ენახე, როგორ „ჩარეცხა“ კორეული „ოლ სტარის“ მატჩი. ცხადია, ასეთ პირობებში ვერც მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.



„უენსდისა“ და „იუნაიტედის“ მატჩები ყოველთვის დაძაბულია

შეფილდური თავსატეხი

„შეფილდ უენსდის“ უარყო ხმები, რომლებიც მისმა თანაქალაქელმა მეტოქემ „შეფილდ იუნაიტედმა“ დაყარა, თიფლის ეს ორი კლუბი შეიძლება შეერთდეს. „უენსდის“ მდივანმა ალან საიქსმა ჟურნალისტებთან მას მერე ილაპარაკა, რაც „იუნაიტედის“ დირექტორმა ჯონ თურმანმა გახზეთ „იორკშირ პოსტს“ ინტერვიუში განუცხადა, რომ კარგი იქნება, თუ ქალაქში ერთი კლუბი იარსებებს. ჟორ-მართალი კი იქიდან მოდის, რომ დღეს, როგორც „უენსდის“, ასევე „იუნაიტედი“ ღარიბადაა და გაერთიანება ქალაქს მართლა მისცემდა ერთი მაღალი დონის გუნდის ყოლის საშუალებას.

მაგრამ იაკსმა ბრძანა: „ლონდონშიც ხომ არიან გეოგრაფიულად დაახლოებულ კლუბები. მაგალითად „ტოტენჰემი“ და „არსენალი“ ერთმანეთისგან არცთუ შორს ბინადრობენ, მაგრამ რამდენი ხანია ახერხებენ დამოუკიდებლად არსებობას. ამიტომაც არ მესმის, რატომ უნდა ჰყავდეს შეფილდს ერთი გუნდი“.

გაერთიანებას უეჭველად ცუდად შეხვდებოდნენ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის გულშემატკივრები, რომელთათვისაც „უენსდის“ — „იუნაიტედის“ დაპირისპირება მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე საინტერესო მოვლენაა. „იუნაიტედის“ დირექტორმა თურმანმა აღიარა, რომ მერწყმა უკიდურეს ნაბიჯთა კატეგორიას განეკუთვნება: „ეს გახლავთ რადიკალური იდეა, მაგრამ ისეთი, რომლის აქტიური განხილვა ნამდვილად ღირს. მე თუ მკითხავთ, ამ საქმიდან დიდი სარგებლის გამოტანა შეიძლება. მთელი საფეხბურთო ბიზნესი ვითარდება და ასეთ პირობებში პატარა კლუბებს გაერთიანება და გაძლიერება თუ უშველით“.

როგორც მოგახსენეთ, დღეს ორივე კლუბი ღარიბადაა. 1997-98 წლებში როგორც „უენსდის“, ასევე „იუნაიტედმა“ კინალამ ზარალის რეკორდი დაამყარეს და ერთობლივად 16,5 მილიონი გირვანქა წააგეს. თურმანს სწამს, რომ შეფილდური ფეხბურთის განვითარებისთვის ერთადერთი გზა დავალიანების აღმოფხვრაა. „ნამდვილად არ ვიცი, ყოფილა თუ არა ღდემდე სერიოზული საუბარი ამ საკითხზე, მაგრამ მწამს, რომ ადრე თუ გვიან საბაზრო სიტუაცია გვაიძულებს დავსხდეთ და დავილაპარაკოთ“ — ამბობს ის.

ალსანიშნავია, რომ „უენსდის“ თავმჯდომარე დევიდ რინარდსი იზიარებს თურმანის შეხედულებებს, მაგრამ გულშემატკივართა რეაქციას უფრთხის. „წმინდა ბიზნესის კუთხით თუ შეხედავთ საკითხს, იდეა ძალიან საინტერესოა და მგრძნობიარეა. ისიც ძალიან კარგი იქნება, თუ შეფილდის საფეხბურთო ქალაქთა შორის წარჩინებული გახდება, მაგრამ ვაი, რომ გულშემატკივრები ამას არასდროს დაუმეგობრდნენ“ — განაცხადა მან.

ბირჟოვის დარღიანი ოპტიმიზმი

ბერმანდის ნაკრების კაპიტანს, ოლივერ ბირჟოვს სწამს, რომ კონფედერაციათა თასზე გამოვლენილი უნაითობის მიუხედავად, მის გუნდს კარგი მომავალი აქვს. „დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი, რომელსაც დღეს გერმანიის ეროვნული ნაკრები ჰქვია, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა“ — განუცხადა ბირჟოვმა გაზეთ „ველტს“ გუმინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

შემდეგ თავდამსხმელმა, რომელიც კონფედერაციათა თასზე არ თამაშობდა, რადგან კლუბში „მილანში“ სეზონისწინა წვრთნას გადიოდა, დასძინა: „ვიცი, საზღვარგარეთ საყოველთაო აზრი ისეთია, რომ გერმანული ფეხბურთი მიმე კრიზისის განიცდის. თანამემამულეთაგან ჩემს გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელი, იორგ ჰაინრიხი თამაშობს იტალიაში („ფიორენტინაში“), არადა ადრე სერია A-ში 10-11 ვარსკვლავი გვყავდა. გარდა ამისა, ბუნდესლიგის დონეს რომ უყურებ, ხვდები, რომ გერმანია მწვერვალზე მყოფთ აღარ განეკუთვნება, მაგრამ საკუთარი თავისა არ უნდა შეგვრცხვეს. განა იტალია არ იყო, ბელარუსთან უგოლო ფრე რომ ითამაშა? ველარც მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი თამაშობს ძველებურად და ინგლისსაც აშკარა პრობლემები უდგას. მოკლე, სხვებს ძალიანაც არ ჩამოვრჩები“.

შეგახსენებთ, რომ გერმანია კონფედერაციათა თასზე, რომელიც მექსიკაში ჩატარდა, ბრაზილიასთან 0:4 დამარცხდა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან — 0:2. ევრო 2000-ის შესარჩევ შეჯიბრებაში კი კონტინენტის 1996 წლის ჩემპიონი მესამე შესარჩევ ჯგუფში ხუთი თამაშიდან 12 ქულით პირველ ადგილზეა.

უფრთხილდით კლაუდიოს!

კპირას ესპანეთის სუპერთასის პირველი მატჩია. თასის მფლობელი „ვალენსია“ ჩემპიონ „ბარსელონას“ ხვდება. ვალენსიელთა არგენტინელ თავდამსხმელ კლაუდიო ლოპესს ხვალ მიეცემა შანსი, განაგრძოს თავისი უხვგოლოანი სერია „ბარსას“ წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი კატალონიურ კლუბთან გამორჩევი კარგად თამაშობს, მან ბოლო ხუთ შეხვედრაში „ბარსელონას“, არც მეტი, არც ნაკლები, 9 გოლი გაუტანა. — მისი ნამდვილად მეშინია, თუმცა არ გეგონოთ, წინასწარ ვნებდებოდეთ. თამაშის მოსაგებად თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე დაინხრება — თქვა „ბარსას“ პოლანდიელმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა. კატალონიელებმა, ვალენსიელთა დარად, ბრწყინვალედ ჩაატარეს სეზონისწინა ამზანაგური თამაშები (5 თამაშიდან 5 მოგება). „ბარსას“ ახალი შენაძინები — ლიტანენი და დეუ, ვან გაალის განცხადებით, შესანიშნავად შეერწყნენ გუნდს და არაა გამორიცხვული, ხვალ ორივემ ძირითადში ითამაშოს. სამაგიეროდ, აქედანვე ცნობილია, რომ „ბარსელონას“ რივადლო ვერ დაეხმარება, რომელიც ახლა ბრაზილიაშია და სარეაბილიტაციო კურსს გადის. მომავალი მატჩისადმი ოპტიმისტურადაა განწყობილი „ვალენსიას“ ახალი არგენტინელი მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი, რომლის ხელმძღვანელობითაც გასულ წელს „მალორკამ“ სწორედ „ბარსას“ მოუგო სუპერთასი. — გუნდში ბევრს არაფერს შევცვლი. ერთადერთი, რაც შემიძლია ვითხრათ, ის არის, რომ უწინდებურად 4-4-2 ტაქტიკური სქემით ვითამაშებთ, ხოლო რა შედეგს მოიტანს ყოველივე ეს, კვირას ვნახავთ — უთხრა კუპერმა ესპანელ ჟურნალისტებს.



მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის იაპონელ ორგანიზატორთა პრეზიდენტი შო ნასუ შეჯიბრების აღრე დაწყებას ითხოვს

ნეთუ მართლა აფრიკაში?

სამხრეთი აფრიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ მათ ქვეყანაში ჩატარდეს და იგი გახდეს პირველი აფრიკული სახელმწიფო, რომელიც ფეხბურთის ამ უპრესტიჟულეს ასპარეზობას უმასპინძლებს. — უკვე შევიტანეთ განაცხადი ფიფაში. თუ მიზანს მივაღწევთ, მაშინ თავს მსოფლიოში უბედნიერეს კაცად ჩავთვლი — თქვა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საარჩევნო კამპანიის სამხრეთაფრიკელმა წარმომადგენელმა ირენ ზოზამ.

კონკურენტები კი სამხრეთ აფრიკას მართლაც რომ მრავლად ეყოლება. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზია მათ გარდა ინგლისს, გერმანიას, ბრაზილიას და კიდევ ერთ აფრიკულ ქვეყანას — მაროკოს აქვს. განაცხადების შეტანის ბოლო ვადად ფიფამ 10 აგვისტო დაადგინა, თუმცა საეჭვოა ამ ქვეყანათა ნუსხას ორიოდ დღეში რომელიმე სხვაც შეემატოს. — ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა ფიფას ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. იმედი მაქვს, რომ არჩევნებში, რომელიც 2000 წლის ივლისში ციურისში გაიმართება, სწორედ სამხრეთ აფრიკა გაიმარჯვებს — განაცხადა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი ტაბო მბეკი.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08



- მართალი ყოფილა.
- რა?
- ინგლისი ტრადიციის მოყვარული ქვეყანააო.
- რაიმე ისეთს გამოძებნილი... — „მანჩესტერმა“ რაც არ უნდა მოიგოს, ბოლოს მაინც „არსენალთან“ ავებს.
- ჩერთი შილდი რა სახსენებელია... — ჰო, როცა „მანჩესტერის“ მხარეს ხარ არ არის სახსენებელი.
- ამით რისი თქმა გინდა? — იმისა, რომ „არსენალი“ ყოველთვის უგებს „მანჩესტერს“.
- თასზე ვინ მოიგო? — რომელ თასზე, წელს რომ თვითონაც არ აინტერესებს?
- ხომ შეუმჯერა გიგუნდამ? — შენ მარტო ცალ მხარეს ხედავ გოლებს.
- აბა, მეორე მხარეს მარტო ტრანსფერებია. — „მანჩესტერის“ ახალი ტრადიცია კი ტრანსფერის არქონაა.
- რატომ, ხომ გადმოიყვანეს? — ვინ, ზორდი?
- თუნდაც. — მაგას არც ვაგამხელდი.
- კაცი სამი წელიწადია არ მოსწონთ და ახლა მოეწონათ? — ჰო, მართლა. მომილოცავს.
- რა? — იმ დაცენტრილის გასუხარება.
- ვისი? — ანელკასი. სახელი არც მახსოვს, მაგრამ რახან ევ მოიშორეთ, აწი რაღა გიჭირთ?
- დასცინე, დასცინე. სადაც დაიჭირა შენი ძლიან ინგლისელები, სულ შტანგები უზანზარა. — შტანგას მოხვედრილი ბურთი, ცული დარტყმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.
- ბაღმეც კარგად შეუყარა ზედ უემბლიზე. — ბევრი მინახავს ეგეთი.
- მერე? — მერე დაკარგულან. ტყეში შესულან და ველარ გამოსულან.
- ალაგად მითხარი, რისი იმედი გაქვს ახალ სეზონში? — ვიქტორია ადამსის.
- ვაჰ! — რა ვაჰ! მაგის ხელშია ყველაფერი.
- რატომ? — ქმარი უნდა გაამხნევოს, დაამშვიდოს, ჭკუა დააროგოს. ხომ იცო, ის ცოტა უცნაური ბიჭია.
- ვთქვით და არ გაამხნევა? — მაშინ მორჩა.
- სხვა არავინა? — კი, მაგრამ მთავარი ბექემია.
- მთავარი ბექემია? — რა იყო, რა ვაგიკვირდა?
- და ვაზა? — რა ვაზა?
- მთავარი ვაზა მეგონა. — კი, ვაზა მთავარია. ოღონდ, ზოგადად.
- ეხ რას ნიშნავს. — ვაზა ხომ ცოლმა ვერც დაამშვიდა, ვერც გაამხნევა და ჭკუაც ვერ დააროვა.
- მერე? — მერე ზოგადად მთავარი დარჩა.

ინგლისი



ახალი პრემიერლიგა ოთხი კანდიდატი



საქართველოს არქივიდან

ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყველაზე პასიური იყო სატრანსფერო ბაზარზე. მათი ერთადერთი მნიშვნელოვანი შენაძენი ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი გახლდათ

11 კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტრიუმფალურად დაამთავრა სეზონი, დღეს კი „ევერტონთან“ გასვლითი მატჩით ყველაფერი თავიდან დაიწყო. შაბათს პრემიერლიგის პირველი ტურია.

გასულ წელს სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა „ოქროს სამების“ მოგებით ყველაფერს მიაღწია, თუკი რამეზე ოცნება შეიძლება. ამის შემთხვევით მხოლოდ ზეცა და მეტი არაფერი. ასლა „იუნაიტედი“ უკეთეს შემთხვევაში მიღწეული გამეორებას თუ შეძლებს. თუმცა... გამეორება აღარ გამოუვა. მიზეზი ისაა, რომ მანჩესტერელებმა ინგლისის ლიგის თასი მსხვერპლად შესწირეს საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც იანვარში ბრაზილიაში გაიმართება.

ასეა თუ ისე, „მანიუ“ ახალი სეზონისთვის მზადაა და ამას ფერგიუსონი დაბეჯითებით ამტკიცებს. საინტერესოა, რომ „იუნაიტედი“ ამ ზაფხულს ყველაზე პასიური იყო სატრანსფერო ბაზარზე. ერთადერთი მნიშვნელოვანი შენაძენი „ასტონ ვილას“ ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი გახლდათ, რომელმაც პორტუგალიაში წასული პიტერ შმაიხელი შეცვალა. ესპანური „სელტადან“ ხორდი კრუიფის მობრუნება კი მნიშვნელოვანთა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. გუნდი ახლახან დაბრუნდა აზიურ-აუსტრალიური საწვრთნელი ტურნიდან, რომლის დროსაც ორჯერ დაამარცხა ავსტრალიის ნაკრები. „ოქროს ბიჭუნა“ დევიდ ბექემმა „სუაიზ გელზის“ ვიქტორია ადამსზე იქორწინა, თუმცა მჭიდრო მოსამზადებელი ციკლის გამო თავს დასაყრდენად შეწყვეტა მოუხდა. ალექს ფერგიუსონს ბუკინგემის სასახლეში დიდი ბრიტანეთის დედოფალმა რაინდის წოდება უბოძა, ხოლო ახლახან გამოსული მისი მოგონებების წიგნი ბესტსელერად გადაიქცა იმის გამო, რომ ერთ-ერთ თავში სერ ალექსმა მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი ბოსი — ესაულენკო — ქრთამის მიცემაში ამხილა, თუმცა ეს ამბავი ხუთი წლის წინათ მომხდარა. დაბოლოს, გასულ უქმეებზე „მანიუ“, „ჩერთი შილდის“ (ჩვენებურად სუპერთასის) მატჩში ლონდონის „არსენალთან“ 1:2 დამარცხდა. აი, ეს არის, რაც ზაფხულის განმავლობაში ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდში მოხდა: „ცხადია, „არსენა-

ლთან“ დამარცხება უსაიმოვნო იყო, მაგრამ ასლა წუწუნის დრო არ არის. შაბათს „ევერტონთან“ პირველი თამაში გვაქვს და უნდა ვეცადოთ, ჩემპიონატი კარგად დავიწყოთ“ — თქვა ფერგიუსონმა.

პირველობისთვის ბრძოლაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ მთავარ კონკურენტად ფრანგი მწვრთნელის, არსენ ვენგერის „არსენალს“ მიიჩნევენ. „მანიუსგან“ განსხვავებით, „მეთოფებში“ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე მეტად აქტიურები იყვნენ და შეტევის ზაზში დიდი ძალაც დაიმტკეს. ხორვატ დავორ შუკერს ახლახან ფრანგი ტიერი ანრიც შეუერთდა. გარდა ამისა, „მეთოფებთან“ ითამაშებენ ოლეგ ლუშინი კიევის „დინამოდან“, სტეფან მალცი მიუნხენის „ბაიერნიდან“ და სილვინო ბრაზილიური „კორინთიანსიდან“. ყველაზე დიდი ხმაური კი „არსენალიდან“ ნიკოლა ანელკას წასვლამ გამოიწვია. მთელ ზაფხულს მიმდინარე გაურკვეველი მიღმიღი ბოლოს იმით დამთავრდა, რომ მადრიდის „რეალმა“ ანელკაში ლონდონელებს ესპანური ფეხბურთისთვის აქამდე არანაშული თანხა — 35,7 მილიონი დოლარი გადაუხადა. ჟაკლუს, რომელსაც სერიოზული ამბიცია აქვს როგორც პრემიერლიგაში, ასევე ევროპაში, ორი სრულფასოვანი შემადგენლობა უნდა ჰყავდეს. ჩვენ ამას მივადვით. დღეს ორი თანაბარი გუნდის გამოყვანა შეუძლებელია“ — ამბობს არსენ ვენგერი.

ინგლისელი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ წლებადღე პრემიერლიგაში გამარჯვების პრეტენდენტები „ჩელსი“ და „ლიდსი“ იქნებიან. ჯანლუკა ვიალის „ჩელსიმ“ ზაფხულში ორი ჩინებული მოთამაშე შეიძინა, ფრანგი დიდი დეშამპი ტურინის „იუვენტუსიდან“ და კრის სატონი „ბლექბერნიდან“. ვიალი ამბობს, რომ მისი გუნდის მიზანი ნათელია: პრემიერლიგის მოგება და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა.

დევიდ ოლირის ახალგაზრდა „ლიდსმა“, რომელიც შარშანდელი სეზონის აღმორჩენად დაასახელეს, რამდენიმე დღის წინ თავისი და პრემიერლიგის საუკეთესო მეგობრე ჯიმი ფლოიდ პასელბანიკი 12 მილიონ დოლარად მადრიდის „ატლეტიკოში“ გაყიდა, თუმცა უპასულობანკოდანც ძლიერი და სიმპათიური შემადგენლობა ჰყავს, ამიტომ ჩემპიონობის კანდიდატადც სამართლიანად მიიჩნევენ.

ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „ლივერპული“ კი ისევ არც მიწისა და არც ცისა. მწვრთნელ ფერარ ულიეს ჩინებული მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ ნამდვილი ფეხბურთის თამაში გუნდმა ვერაფრით დაიწყო. ამიტომ „ლივერპულს“ ამბიციებზე ლაპარაკისას ჩვენი ბრიტანელი კოლეგები თავს იკავებენ. ზაფხულში „წითლებმა“ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი შეიძინეს. პირველ რიგში ეს ფრანგული „ლანსიდან“ გადასულ ჩეს ვლადიმირ შმიცერსა და ექსნიუკასლელ დიტმარ ჰამანს ეხებათ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ინგლისური ფეხბურთის მთავარმა იმედმა მაიკლ ოუნემ ტრავმა მოიშუშა და მალე ძირითად შემადგენლობაშიც დაიკავებს ადგილს.

თემურ ქეცაბაის „ნიუკასლი“ კი ისევ თავისი შარშანდელი მოთამაშეების იმედზე იქნება, თორემ დიუმას, გომას და ელენას დამატება, ალბათ, ბევრს არაფერს შეცვლის.

სილომონ გულისაშვილი

ფეხბურთელი	საიდან	სად
ტიმირი ანრი (საფრანგეთი)	იუვენტუსი	არსენალი
მარკ ბოსნიჩი (ავსტრალია)	ასტონ ვილა	მანჩესტერი
ქილი დე ბილდე (ბელგია)	ეინდჰოვენი	შეფილდი
დიდი დეშამპი (საფრანგეთი)	იუვენტუსი	ჩელსი
ერიკ მემიერი (პოლანდია)	ლევერკუზენი	ლივერპული
ტიმირი ანრი (საფრანგეთი)	მარსელი	ლივერპული
ქრის სატონი (ინგლისი)	ბლექბერნი	ჩელსი
დავით შუპარი (რეალი)	რეალი	არსენალი
დევიდ ჯეიმსი (ინგლისი)	ლივერპული	ასტონ ვილა
დიტმარ ჰამანი (გერმანია)	ნიუკასლი	ლივერპული
მუსტაფა ჰაჰი (მაროკო)	დეპორტივი	ქოვენთრი
ტომას ჰელმერი (გერმანია)	ბაიერი	სანდერლენდი

	მწვრთნელი: არსენ ვენგერი; მკარები: სიმენი, მენინგერი, ლუკინი; მცველები: დიქსონი, ვიგასი, აფსონი, სილვინო, ადამსი, კიოლი, გრიმანდი, ვინტერბერი, გრონდინი; ნახევარმცველები: პარლო, ჯოკო, პეტრე, ვიეირა, ჰაგისი, მალცი, ლუნგბერგი, გარდე, ლუფა, დევიდსონი, მენდისი; თავდამსხმელები: ვრე, ბერესკამპი, კანუ, შუკერი, ანრი
	მწვრთნელი: ჯონ გრეგორი; მკარები: ჯეიმსი, ლუკინი, რიჩი, მკველები: ჩარლზი, ვატსონი, საუთგეტი, ბარი, ეპიოფი, პარისი, გრესონი, რატი, დილანი; ნახევარმცველები: მერსონი, სტოუნი, ტომსონი, დრაპერი, ბოტენგი, ტელორი, ფერარესი, ენდრი; თავდამსხმელები: კოლიმორი, ფასელი, სტანდინგი, დაბლინი, ჯოაკიმი, ბაიფილდი;
	მწვრთნელი: პოლ იუველი; მკარები: უოლში, პრედო; მცველები: დრეიერი, ბოფერი, იაკობსი, ვესტვუდი, ვესტერალი, ჰალე, მური, ოზბაიანი, რატი, ტოდი, მიფრსი; ნახევარმცველები: ბიგრი, ლაურენსი, მაკოლი, რალი, ბლეიტი, შარპი; თავდამსხმელები: მილსი, ვატსონი, ვინდარი, რინკინი, გრანტი, პეტერსონი
	მწვრთნელი: ჯიმ სმიტი; მკარები: კუმი, ჰოულტი, ნაითი; მცველები: ლაურსენი, ბორბოკისი, კარბონარი, პრიორი, სტი-მაჩი, ელიოტი, შნური, დორიგო; ნახევარმცველები: დელაპი, პარპერი, პოულდი, კარსლი, ბრიჯვილი, ბოპინენი, ერანო; თავდამსხმელები: ბარტონი, სტარიჯი, ბაიანო
	მწვრთნელი: უოლტერ სმიტი; მკარები: მაიერი, ფერარი; მცველები: კლილანი, ოკინი, ვატსონი, შორტი, ბილიჩი, ანსვორტი, დანი, პელანი, ბოლი; ნახევარმცველები: გრანტი, ფარელი, ვილიამსონი, კოლინი, ბარმბი, ვორდი, ოსტერი, ჰათინსონი; თავდამსხმელები: კადამარტერი, სპენსერი, ჯეფერსი, ბრენჩი, მადარი, კემპბელი, გაფი
	მწვრთნელი: ჰარი რედნაპი; მკარები: ჰისლოპი, ფორესტი; მცველები: პოტსი, ფერდინანდი, ჰოლი, რადოკი, მარგასი, დიქსი, პირსი, მინტო; ნახევარმცველები: სინკლერი, მინი, კელერი, ომოინი, ლომასი, ლამპარდი, ფოე, მონკური; თავდამსხმელები: კიტსონი, დი კანო, რატი, აბუ, ვანოპე
	მწვრთნელი: მარტინ ო'ნილი; მკარები: არპექსადი; მცველები: კამარკი, კემპბელი, ელიოტი, ტაგერტი, უოლში, გაპი, ულატომი; ნახევარმცველები: იმპი, მაკმაჰონი, ვილსონი, ტელორი, ზაგორაკისი, ლენონი, პარკერი, სევიჯი, იხეტი; თავდამსხმელები: კოტი, ფენტონი, ჰესკი, მარშლი
	მწვრთნელი: დევიდ ოლირი; მკარები: მარტინი, ბენი, რობინსონი; მცველები: კელი, მიტრი, მოლენარი, დაბერი, უეზერლი, რადფი, ვუდგეითი, ჯექსონი, პარტი, რობერტსონი, გრანვილი; ნახევარმცველები: პოუერი, ჰოფკინი, შალანდი, ბატი, იდენი, რიბერი, კორტსენი, ბრაჯისი; თავდამსხმელები: ვინზარდი, კიუელი, სმიტი, მეტუზი
	მწვრთნელი: ფერარ ულიე; მკარები: ვესტერველდი, ფრიდელი; მცველები: ჰეგემი, ენოსი, კვარმე, სონგი, კიპე, ბაბი, მატეო, ტრაორე, ჰიიპია, სტაუნტონი, ინგე ბოზობი; ნახევარმცველები: შმიცერი, რედნაპი, ჰამანი, ტომსონი, მერფი, ბერგერი; თავდამსხმელები: ოუენი, რიდლე, კამარა, ფაულერი, მიერი
	მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი; მკარები: ბოსნიჩი, ვან დერ გოუ; მცველები: გ. ნევილი, კურტისი, სტამი, ბერგი, იონსენი, მი, ბრაუნი, ირინი, ნ. ნევილი, კლევი; ნახევარმცველები: ბექემი, კრუიფი, კინი, სქოულზი, ბატი, გიგზი, ბლომკისტი; თავდამსხმელები: კოული, შერინგემი, ნიულანდი, იორკი, სოლსკიერი
	მწვრთნელი: ბრაიან რობსონი; მკარები: შვარცერი, რობერტსი, ბერესფორდი; მცველები: ფლემინგი, ბექერი, სტოპდელი, ფესტა, ვიკერი, ციგე, პალისტერი, კუპერი, გორდონი, პარისონი; ნახევარმცველები: სტამპი, გესკოინი, მედისონი, ინსი, სამერბელი, მასტო, თაუნსენდი, მური, ო'ნილი; თავდამსხმელები: რიკარდი, ბრანკა, დინი, არმსტრონგი, კემპბელი
	მწვრთნელი: რუდ გულიტი; მკარები: გივინი, პერეზი, პარპერი; მცველები: მარსელინი, გომა, შარვე, ბარტონი, დაბიზასი, ჰოუი, ჰაგისი, პისტონი, დიორი, პირსი, გრიფინი, სერანტი; ნახევარმცველები: სოლანო, ჰაილიტონი, ლი, მარჩი, ძეშბანი, სანი, გლასი, ბრედი, ეუნა დიუმე; თავდამსხმელები: შირერი, ანდერსონი, ფერგიუსონი, დალგლიში
	მწვრთნელი: პიტერ რეიდი; მკარები: სონერსენი; მცველები: მაკინი, ბატლერი, ვილიამსი, გრეი, ჰელმერი; ნახევარმცველები: სანერბი, ბოლი, რაი, მაკანი, ჯონსტონი, შვარცი; თავდამსხმელები: ქუინი, ბრიჯისი, ფრიგარდი, მულინი, ფილიპსი, დიჩსო
	მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი; მკარები: ჯოუნსი, მოსი; მცველები: დოდი, ბრიჯი, მონკი, მარშალი, ჰილი, ლანდეკამი, დრაიდენი, ბერესფორდი, ბენალი, კოლტერი; ნახევარმცველები: რილი, უორნერი, ბაბანი, პოულსი, დ. ჰაგისი, ლეტსი, მარდსენი, ოკლი, გიბენსი; თავდამსხმელები: მ. ჰაგისი, პირსტი, პოლი, ოსტენსტაიდი, კარლოუ, ბიტი
	მწვრთნელი: ფორჯ გრემი; მკარები: უოლკერი, ბარდსენი, სეგერი; მცველები: ვარი, ვეგა, იანგი, კემპბელი, სკალზი, ტრამპერი, ედინბორგი, ტარიკო; ნახევარმცველები: ანდერტონი, ფოქსი, ფრენდი, კლემენსი, ნილსენი, საბი, შერუდი, ფინოლა, დომინიკი, პერი, კორსტენი; თავდამსხმელები: არმსტრონგი, ალენი, ფერდინანდი, ივერსენი
	მწვრთნელი: გეილ ოლსენი; მკარები: სალივანი, ჰილი; მცველები: კანინგემი, გაპი, მაკალისტერი, რობერტსი, ბლეკელი, კომბლი, ჰათინგი; ნახევარმცველები: არდლი, კლარკი, ული, კ. ჰაგისი, ერლი, დევისი, მ. ჰაგისი, აინსვორტი, პედერსენი; თავდამსხმელები: გელი, კორტი, პარტსონი, ეკოკუ, გუდმანი, ლიბი
	მწვრთნელი: გრემ ტელიორი; მკარები: ჩემბერლენი; მცველები: გიბსი, პეიჯი, იროა, იატსი, პალმერი, მილენი, კენედი, რობინსონი; ნახევარმცველები: რატი, ჯონსონი, ჰაიდი, ჰასანი, მუნი, ისტონი; თავდამსხმელები: სმარტი, ნგონგი, ნოელ-ვილიამსი, სმიტი
	მწვრთნელი: გორდონ სტრანჯი; მკარები: ჰედმანი, ოგრიზოვიჩი, სკოპე; მცველები: ნილსონი, დევიდტი, ბრინი, დამპი, ბრიჯველი, ვილიამსი, შოუ, ბუროსი, მ. შოლი; ნახევარმცველები: ტელფორი, პ. შოლი, პოლტონი, ეკლ სოლტვედტი, ბოლანდი, მაკალისტერი, ჰაჯი, ქუინი, ფროგატი, დუკონსი, სტრანჯი; თავდამსხმელები: ელანი, ელიოზი, ჰაქერბი
	მწვრთნელი: დენი ვილსონი; მკარები: პრესმანი, შმიცევი, კლარკი; მცველები: ბარტი, ნოლანი, კობანი, უოლკერი, ტომი, სედლოსკი, სტეფანოვიჩი, ნიუსომი, ჰინკლიფი, ბრისკი; ნახევარმცველები: ოქსი, ადერტონი, ვინტენგემი, იონკი, სონერი, რუდი, ალექსანდერსონი; თავდამსხმელები: კარბონე, გუტი, ჰამპერი
	მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი; მკარები: დე გუი, ჰინკოკი; მცველები: ფერერი, გოლდუკი, დაბერი, ლამპარდი, ლეგეტი, დეგანი, მელნიოტი, ლე სო, ჰაბაირო; ნახევარმცველები: დეშამპი, პეტრესკი, პოიკო, მორისი, დი მატეო, ვაიხი; თავდამსხმელები: ძოლა, კაზირაგი, ფლო, ფორსელი, ნიკოლსი, სატონი

სარგბიელი

სპორტული ლაბარია "CROCO"

გერმანიის თასის II ეტაპი

7.08	ბაბელსბერგი - უნტერჰაინი	5,6	3,4	1,5
	ვერდერი (მოფე) - ფორტუნა	4,0	3,3	1,7
	ვატენშაიდი - კიოლნი	4,0	3,0	1,8
	პირმასენსი - მიუნხენი	9,0	5,0	1,2
	ლანდსჰუტი - ჰანზა	9,0	5,0	1,2
	მეპენი - ოფენბახი	3,0	2,9	2,2
	პლაუენი - კიკერსი	3,4	2,9	2,0
	ფორცჰაიმი - ფრაიბურგი	7,5	4,7	1,25
	ლანგერვეკე - ზემნიცი	7,0	3,5	1,4
	დინამო ბერლინი - არმინია	5,6	3,4	1,5
	შიონბერგი - ვალდჰოფი	5,6	3,4	1,5
	ზინგენი - ფიურტი	5,0	3,2	1,6
8.08	დიუსელდორფი - ულმი	4,0	3,0	1,8
	ვერლი - აინტრახტი	6,5	4,0	1,35
	როზენჰაიმი - ზტ. პაული	7,5	4,0	1,3
	ლიუბეკი - ჰანოვერი	3,0	2,9	2,2
9.08	ზაარბრიუკენი - შალკე	5,6	3,4	1,5

ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური

7.08	ვესტ ჰემი - ტოტენჰემი	2,3	2,8	2,9
	არსენალი - ლესტერი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ჩელსი - სანდერლენდი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ქოვენთრი - საუთჰემპტონი	1,8	2,9	4,2
	ლიდსი - დერბი	1,5	3,2	6,5
	მიდლსბრო - ბრედფორდი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ნიუკასლი - ასტონ ვილა	1,8	2,9	4,2
	უოტფორდი - უიმბლდონი	2,5	2,9	2,5
	შეფილდ უენსდი - ლივერპული	2,7	2,8	2,4
8.08	ვევერტონი - მანჩესტერი	3,8	2,8	1,9

ინგლისი. I დივიზიონი. I ტური

7.08	ბირმინგემი - ფულემი	1,8	2,9	4,2
	ბლექბერნი - პორტ ველი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ჩარლტონი - ბარნსლი	1,6	3,0	5,6
	კრისტალ პალასი - ქრიუ	1,35	3,8	7,0
	0:1	1,9	3,3	2,5
	გრიმსბი - სტოკპორტი	1,9	2,8	3,8
	იფსვიჩი - ნოტინგემი	2,0	2,8	3,5
	პორტსმუთი - შეფილდ იუნაიტედი	2,3	2,9	2,8
	ქუინზ პარკი - ჰადერსფილდი	2,2	2,9	3,0
	ტრანმერი - ბოლტონი	2,8	2,9	2,3
	უოლსოლი - სუინდონი	2,5	2,9	2,5
	ვესტ ბრომვიჩი - ნორვიჩი	2,0	2,8	3,5
8.08	მანჩესტერ სიტი - ვულვერჰემპტონი	1,9	2,9	3,6

ინგლისი. II დივიზიონი. I ტური

7.08	ბორნმუთი - კემბრიჯი	1,7	3,1	4,4
	როვერსი - ბრენტფორდი	2,3	2,9	2,8
	ბერი - ჯილინგემი	2,0	2,9	3,4
	ჩესტერფილდი - კოლჩესტერი	1,5	3,4	5,6
	ნოტსი - ლუტონი	1,8	3,0	4,0
	ოლდემი - პრესტონი	3,0	2,9	2,2
	რედინგი - ბრისტოლი	2,1	2,9	3,2
	სტოკი - ოქსფორდი	1,8	2,9	4,2
	უიგანი - სკანთორპი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	უიკომბი - ბარნლი	2,5	2,9	2,5
	ბლექჰუელი - რეჟსემი	1,9	2,9	3,6
	კარდიფი - მილუოლი	1,8	2,9	4,2

ინგლისი. III დივიზიონი. I ტური

7.08	ბრაიტონი - მენსფილდი	1,6	3,2	5,0
	კარლაისლი - ლეიტონი	2,5	2,9	2,5
	ჩელტენემი - როჩდეილი	1,4	3,5	7,0

0:1	2,0	3,2	2,3
ჩესტერი - ბარნეტი	1,8	3,0	4,0
ექსეტერი - ჰალი	1,9	2,9	3,6
ჰალიფაქსი - დარლინგტონი	2,5	2,9	2,5
ლინკოლნი - როტერჰემი	2,2	2,9	3,0
მაკლსფილდი - ნორთჰემპტონი	2,3	2,9	2,8
პიტერბრო - პარტლბული	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
შრიუსბერი - ტორკი	2,2	2,9	3,0
საუთენდი - პლიმუთი	2,5	2,9	2,5
იორკი - სუონსი	2,1	2,9	3,2

საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური

7.08	რენი - პსე	2,0	2,8	3,5
	მეცი - ოსერი	1,8	2,9	4,2
	მონპელიე - ბორდო	2,4	2,8	2,7

საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური

7.08	გენგამი - კრეტეი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ლე მანი - ნიორი	1,8	2,8	4,4
	კანი - ვასკალი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	კანი - ტულუზი	2,2	2,9	3,0
	ვალანსი - ლუანი	1,5	3,4	5,6
	გენიონი - აიაჩო	1,6	3,1	5,3
	სოშო - ნიცა	1,6	3,0	5,6
	ლილი - ნიმი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ამიენი - ლავალი	1,9	2,9	3,6

ბელგია. I ტური

7.08	ვესტერლო - გენკი	4,0	3,0	1,8
	სტანდარდი - მეხელენი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	შარლერუა - პარელბეკე	2,2	2,8	3,1
	ბევერენი - აალსტი	2,2	2,9	3,0
	ლიერსი - ბეერსხოტი	1,8	3,0	4,0
	ლომელი - ლოკერენი	4,0	3,0	1,8
8.08	ანდერლესტი - მუსკრონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ბრიუკე - სტ. ტრუდენი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

ჩეხეთი. II ტური

7.08	ოპავა - სპარტა	5,6	3,4	1,5
8.08	ბლშანი - ჰ. კრალოვე	2,0	2,9	3,4
	სლავია - ბანიკი	1,5	3,3	6,0
	სიგმა - ბოჰემიანსი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ვიკტორია - ბუდეიოვიცე	1,5	3,3	6,0
	დუკლა - ლიბერეცი	1,8	3,0	4,0
9.08	დრნოვიცე - ბრნო	2,4	2,9	2,6

პოლონეთი. IV ტური

7.08	პოლონია - პოგონი	1,5	3,4	5,6
	რუზი - გროცლინი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ლეს - ვიძევი	2,2	2,8	3,1
	გურნიკი - პლოცკი	1,5	3,3	6,0
	ზავლეუე - ოდრა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

უკრაინა. VI ტური

7.08	დინამო - ჩორნომორეცი	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0
	მეტალურგი - კარპატი	2,8	2,9	2,3
	ზირკა - მეტალისტი	4,0	3,0	1,8
	ტავრია - ცსკა	1,8	3,0	4,0
	დნიპრო - ნივა	2,0	3,0	3,3
	კრივბასი - მარიუპოლი	1,5	3,3	6,0

ვორსკლა - პრიკარპატია	1,7	3,1	4,4
ზაპოროჟიე - შახტარი	2,4	2,9	2,9

თურქეთი. I ტური

7.08	გენჩლერბირლიგი - ბეშიქთაში	4,4	3,1	1,7
	სამსუნი - ანკარაგუჯუ	1,7	3,0	4,7
8.08	ერზურუმი - დენიზლი	1,5	3,2	6,5
	ფენერბაჰჩე - ვანი	1,05	8,0	14,0
	0:1	1,3	3,9	5,0
	ბურსა - ალთაი	1,8	2,9	4,2
	გიოზთეფე - ქოჯაელი	3,0	2,9	2,2
	ანთალია - ისთანბული	1,7	3,0	4,7
	ადანა - ტრაბზონი	4,4	3,1	1,7

შოტლანდია. II ტური

7.08	სელტიკი - სტ. ჯონსტონი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	პართსი - რენჯერსი	5,0	3,2	1,6
	კილმარნოკი - აბერდინი	1,5	3,3	6,0
	მონტრეველი - დანდი იუნაიტედი	1,8	2,9	4,2
8.08	დანდი - ჰიბერნიანი	1,5	3,3	6,0

ავსტრია. VII ტური

7.08	ბრეგენცი - ლინცერი	2,5	2,9	2,5
	რაპიდი - ლუსტენაუ	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	რიდი - ზალცბურგი	2,9	2,8	2,3
	შტურმი - აუსტრია	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

შვეიცარია. VII ტური

7.08	ლუცერნი - არაუ	1,9	2,8	3,8
	სტ. გალენი - ივერდონი	1,5	3,4	5,6
	ლოზანა - ციურიხი	2,3	2,9	2,8
	დელემონი - ქსამაქსი	2,5	2,9	2,5
8.08	გრასჰოპერი - ლუგანო	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

დანია. III ტური

8.08	კოპენჰაგენი - ოლბორგი	2,5	2,9	2,5
	ესბიერგი - ვეილე	1,9	3,1	3,4
	აკადემისკი - ლიუნგბიუ	1,7	3,1	4,4
	ჰერფიოლგე - ოდენსე	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ვიბორგი - აფფ	1,8	2,9	4,2
9.08	ბრონდბიუ - სილკებორგი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

შვედეთი. XVI ტური

7.08	აიკ - ტრელებორგი	1,5	3,4	5,6
	ფრიოლუნდა - ჰელსინგბორგი	3,0	2,9	2,2
8.08	ჰალმსტადი - გიოტებორგი	1,5	3,3	6,0
	იორებრო - კალგარი	2,0	2,9	3,4
9.08	ელფსბორგი - ნორჩიოპინგი	1,9	2,9	3,6
	იორგრიტე - იურგარდენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	მალმიო - ჰამარბი	1,9	2,9	3,6

ნორვეგია. XVIII ტური

8.08	ბოდო გლიმტი - რუსენბორგი	5,0	3,2	1,6
	კონგსვინგერი - ვიკინგი	2,8	2,9	2,3
	ლილესტრომი - ოდ გენლანდი	1,5	3,4	5,6
	მოსი - სკეიდი	1,7	3,1	4,4
	სტრომსვოლდსტი - მოლდე	4,0	3,0	1,8
	ტრომსიო - სტაბეკი	2,4	2,9	2,6
	ვოლერენგა - ბრანი	2,5	2,9	2,5

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
 №2 ცენტრალური ფოსტამთი აღმამენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
 ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
 ბათუმში — აჰმედ მეღაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
 რუსთაველი — მარაბლის ქუჩა 3. პირიმიზე, მეორე სართული.
 გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
 თელავში — კოსტავას ქუჩა 23
 ფსოვში მიიღება ყოველდღე ორგანიზაციისა და სუთვაბათის ბარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

ნარმატიბას დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ

— გახსოვთ 60-იანი წლების დიდი „ინტერი“?

— მასობრივი ჩემპიონთა თასი, იტალიის ჩემპიონის ტიტული, ვენა... ეს სამოციანი წლების შუაში იყო, როდესაც დაახლოებით 20 წლისა გახლდით და მონუსხული ვეურები ამ გუნდის თამაშს.

ჩემებრ ახალგაზრდისთვის „ინტერი“ მწვერვალი იყო. მე ხომ ამბიციები მოკრძალებული მქონდა, სერია A-ში თამაში მინდოდა.

— რომელ გუნდს სცემდით ყველაზე დიდ პატივს?

— ოთხი-ხუთი წელიწადის განმავლობაში სწორედ იმ „ინტერს“ ვქონებოდი მთელი შემართებით, მაგრამ თუ თქვენ ლამაზად მოთამაშე გუნდს მეუბნებით, ეს უთუოდ საკისეული „მილანია“, რომელშიც ვან ბასტენი და გულიტი თამაშობდნენ.

— რამ გიბიძგათ მწვერთვლობისკენ?

— ფეხბურთის სიყვარულმა. მოედანთან განშორება არ მინდოდა. იქ ჩემი სამყაროა. ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს გადავწყვიტე რომ ამ საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი. ძალიან მოწადინებული კი ვიყავი, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, საკმაოდ გულუბრყვილოც ვახლდით.

— როგორც პროფესიონალი, ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ყველამ, ვინც შრომისმოყვარე და პატიოსანია. მოკლედ, ინტელიგენტ ხალხთან მიყვარს თანამშრომლობა. უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ყოველთვის მიმართლებდა.

— ახლა ორ გამოჩენილ კლუბს შემოგთავაზებთ და თქვენს კომენტარს დაგელოდები. პირველი: „ჯობს ცუდად ითამაშო და მოიგო, ვიდრე კარგად ითამაშო და წააგო“. მეორე: „თუ კარგად არ ითამაშებ, ვერ მოიგებ“.

— რაღაც სიმართლე ორივეშია. ფაქტია, რომ ცუდად თამაშის დროსაც შეიძლება მოიგო. გაანჩია, რა გარემოებაა და როგორი ფეხბურთელები გყავს, მაგრამ კარგი შედეგების სერია ვერაფრით გექნება თუ მოთამაშეების ხასიათებიდან გამომდინარე მოქმედება ორგანიზებული არ გაქვს. ეს დაახლოებით იმას ჰგავს: შეიძლება კარგი ფეხბურთელები არ გყავდეს, მაგრამ გუნდი ააწყო და ამით ისიამოვნო, თუმცა წარმატებათა სერია არც ამ შემთხვევაში გექნება.

— თქვენს გაწვრთნილ ფეხბურთელთა შორის ვინ იყო იდეალური?

— იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთელის კარგად გასაცნობად მასთან ორ-სამ წლიანი თანამშრომლობა მაინც არის საჭირო, სულ ორ გვარს დაგისახლებოდა: ვიალი და ფერარა.

— „ოუვენტუსში“ გატარებული ხუთი წლის განმავლობაში თქვენ უამრავი ჯილდო მოიგეთ. გვითხარით რა სჯობს, მოგება თუ მომავალ გამარჯვებათა უნარის შეგრძნება?

— უფრო დიდ კმაყოფილებას მომავალ გამარჯვებათა შესაძლებლობა მანიჭებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთამაშეთა გარკვეული ჯგუფისგან მაქსიმუმის ამოქმად შემიძლია, უპირატესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. კიდევ ერთი გამარჯვება საუკეთესო მიზანია, იმიტომ რომ პირველის ფასი უკვე კარგად მოგესვენება და იცი, რა უნდა გაიარო იგივე რომ შეძლო.

— თქვენი ცხოვრების საუკეთესო მომენტს ხომ არ გვეტყვით?

— ჩემპიონობა და თასების მოგება მეთქი, რომ გიბასუნოთ, იოლი საქმე იქნება, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, ყველაზე სასიამოვნოდ 1994 წელს „ნაპოლისისთვის“ უეფას თასზე გამსვლელი ადგილის მოპოვება მახსენდება. საქმე ისაა, რომ მაშინ უამრავი პრობლემა და საგანგებო გარემოება გვიშლიდა ხელს. კლუბი ფეხბურთელებს ხელფასებს ვერ უხდიდა, ხოლო გასახდლები ყოველდღე მოდიოდნენ ვეჟილები და საათობით ახვავებდნენ იურიდიულ ტერმინებს.

„მასიმო მორატიმ („ინტერის“ პრეზიდენტმა, რომელიც გასული სეზონის ბოლოს გადადგა, ხოლო 15 ივლისს ისევ აირჩიეს თანამდებობაზე) მთხოვა მასთან ერთად შევდგომოდი ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას, ისეთისას დიდი გამარჯვებების მოპოვება რომ ხელდაეწყო“.

— ამბობს მილანის „ინტერის“ ახალი მწვერთვლო მარჩელო ლიბი. ჯერ მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც მან მილანელები სეზონისწინა სამზადისს შეუყენა, თუმცა, ბუნებრივია, აბსოლუტურად მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა აქვს და არც სიტყვაზე იხვევს უკან. იგი საუბრობს ახალი ფეხბურთელების შექმნის მიზნებსა და ახალი გუნდის საიდუმლოებებსაც ნაწილობრივ ფარდას ხდის. „გაძევა დელო სპორტის“ ჟურნალისტს ლიბი ვიარაუგოს სახაპიროზე, კაფეში შეხვდა. მაშინ თავისი აგარაკიდან ახალი დაბრუნებული იყო.

„ბავშვობიდან მიყვარდა ნაგების ცქერა. საკუთარზეც ვოცნებობდი, მაგრამ მისი შექმნა მხოლოდ ორმოცდაათი წლისამ მოვახერხე. სამწუხაროდ ამ სიამოვნებისთვის დროც არ მაქვს. ჩემი სამსახურის სპეციფიკაა თავისებური“... თუმცა იგი თავისი პროფესიით უკმაყოფილო არ ჩანს.

ამის შემდეგ ვამბობდი: წამოდით, ვივარჯიშოთ-მეთქი.

— მორატიმ რა გთხოვთ?

— პრეზიდენტმა ისეთი გუნდის ჩამოყალიბება მთხოვა დღევანდელ შემადგენელ სტრუქტურის გუნდისთვის კონკურენტის გაწყვეტა.

— „ინტერი“ მორატიმ გაირჩევს წარმოგიდგინათ?

— წარმოდგენაზე მწყურვალად ვახლავართ. ჩემი ფილოსოფია მუდამ კონკრეტულ საკითხებს ემყარება. ვითხოვ გუნდურ მუშაობასა და საკუთარი თავის ადამიანთა ჯგუფისადმი მიძღვნას. დღეს ძალიან კარგი მოთამაშეების ჯგუფი გყავს და მათი ხელშეწყობით ძლიერი გუნდის შექმნა მთლიანად ჩემზეა. გახეობებში ხშირად წერენ, რომ დიდი ფეხბურთელების ყიდვა ასე აუცილებელი არ არის, მაგრამ „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგაში კონკურენტუნარიან გუნდს აშენებს და მართალია ზოგ ფეხბურთელს უსაზღვროდ მეტი გადაუხადეს, ზოგს კი ნაკლები, უკლებლივ ყველანი ერთნაირად დაემორჩილებიან მწვერთვლოსა და მენეჯერების მოთხოვნებს.


— მაგრამ მორატიმ ძალიან არის კლუბში გატყვევებული. ეს თქვენთვის კარგია?

— აქ მორატიმ შესახებ კარგის მეტი არაფერი მესმის. ყველას უნდა მასთან მუშაობა. იგი მეც გავიცანი, მაგრამ საქმეში როგორია ჯერ მთლად კარგად ვერ გეტყვით. მეორე ასეთი პატივცემული პიროვნება მხოლოდ დადებით როლს უნდა ასრულებდეს.

— „ოუვენტუსს“ და „ინტერს“ შორის ურთიერთობები დაძაბული იყო. ერთი წლის წინ „ოუვენტუსს“ ჩემპიონის რომ გახდა „ინტერს“ მწარე სიტყვები თქვით. როგორ უნდა გამოასწოროთ საქმე?

— ეს ხომ პიროვნული არ იყო, ასე რომ საგანგაშოც არაფერი.

— გასულ სეზონში „ინტერმა“ საშინელი ჩაგარდნა გადაიტანა. თქვენი რეაქცია როგორი იყო?



მარჩელო ლიბი

— ხომ იცით, რომ მეც საძაველი სეზონი მქონდა, „ოუვენტუსს“ ადრე დავტოვე და ამიტომ „ინტერზე“ ბევრი სულაც არ მიფიქრია. ბოლოს, მილანში მწვერთვლოების ცვლა და სხვა ამბები რომ ატყდა, საკუთარ თავს უუთხარი, რომ ხელდავ ფსიქოლოგიური ასპექტი რამდენს ნიშნავს, დიდი ფეხბურთელები კი ვერაფერს აკეთებენ, მეთქი“.

— თქვენს სეზონზე ვთქვათ. ყველაზე მეტად რამ გაგაღიზიანათ?

— კონკრეტული ლაპარაკი არ მსურს. მინდა ვიფიქრო, რომ დელ პიეროსა და ინძაგის ტრაგედიები რომ არა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

— დღეს ყველა მილიონერ ფეხბურთელებზე ლაპარაკობს. კონტრაქტების მნიშვნელობა დაკნინდა, ისინი თავად ირჩევენ, სად უნდათ თამაში. როგორ აბიურბთ ასეთი ხალხის მართვას?

— ეს გონიერების საკითხია. ფეხბურთელები შექმნილი მდგომარეობიდან მაქსიმუმს იღებენ, მაგრამ მას გამარჯვების სურვილთან კავშირი არ აქვს. მე მათ სულ ვუფიქრებ: როგორ უნდა იგრძნოთ თავი კარგ ფეხბურთელებად თუ ჩემპიონთა თასი და სხვა ჯილდოები სხვებმა მოიგეს, მეთქი. ისინი ნახავენ, რომ სხვა ფეხბურთელები დიდ შეჯიბრებებში თამაშობენ, თავად კი გარეთ არიან და ასე ნელ-ნელა ჩამოყალიბდება გამარჯვების სურვილი. საერთოდ, ფეხბურთელთა ორი ჯგუფი არსებობს. ერთნი თავს დიდ მოთამაშეებად იმიტომ მიიჩნევენ, რომ მდიდრული კონტრაქტები აქვთ, მეორენი კი გრძობენ, რომ მათი ხელფასი მათივე საქმიანობის შედეგებით საუცხოოა და წარმატების მოსაპოვებლად იბრძვიან. კაცმა გამარჯვების უნარი უნდა გამოიმუშაოს. ჩვენ შევიძინეთ ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც გამარჯვების ფასი იციან და საამისო მსხვერპლიც კარგად მოესხენებათ. მწამს პერუცი, ბანუჩი, ბლანი და იუ-

გოვიჩი დანარჩენი მოთამაშეების მენტალიტეტს შეცვლან.

— სამწლიანი კონტრაქტი გაგიადგილებზე საქმეს?

— ერთწლიანი კონტრაქტის დროსაც შეიძლება კარგად იმუშაო და პატივისცემა დაიმსახურო. რაც შეეხება სამწლიან კონტრაქტს, იგი კლუბის ჩემპიონ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და ცხადია გუნდთან მუშაობასაც გამაადვილებს. ვინც საქმეში ვერ ერკვევა იტყვის, რომ ვიცილე ის ფეხბურთელები რომელთაც ვენდობი, ხოლო ისინი, ვისთანაც კონფლიქტი მქონია, დავითხოვე. სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა: მე და კლუბის ხელმძღვანელობამ განაზღვრა — გადახარისხება ჩავატარეთ, რომლის დროსაც მე წარვადგინე მოთხოვნები იმ ფეხბურთელთა შესაგროვებლად, მოგება რომ შეუძლიათ. ახლა, აქ ვერაზინ იტყვის, ჩემპიონთა ლიგაში გასამარჯვებლად სამი წელიწადი გვაქვსო.

— ევროგადასვლა თქვენთვის „ინტერს“ A და B გუნდია?

— მოდით, ჯერ A გუნდით დავიწყეთ. ჩვენ ძალიან ბევრი ფეხბურთელი შევეცვალეთ, ამიტომ თავიდან შევეცდებით თითოეულ მოთამაშეს მისთვის ჩვეულ პოზიციაზე მაქსიმუმ ვაჩვენებინო. ოთხი მცველი გვეყოლება, შემდეგ კი დავცავს 3 ან 4 ნახევარმცველით შევაზავებ — რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს — ბოლოს კი ფეხბურთელების ხასიათიდან გამომდინარე შევეცდები კონკრეტულ სიტუაციას კონკრეტული გადაჭრა მოუძებნო.

— რეკობა, ბაჯო...

— ყველა სხვადასხვანაირია. რეკობას და ბაჯოს შეუძლიათ მეორე ან მესამე თავდასხმელები იყვნენ. როდესაც ძლიერი დაცვა და ნახევარდაცვა გყავს, წინ ათასი რამის მოფიქრება შეგიძლია თან ისე, რომ თავდასხმელებს უკან ჩასვლას და თავისი ხალხის აყვანას არ დაავალბებ. ზონური სისტემის მოთამაშე გუნდი ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, მაგრამ სჭირდება ისეთი ფეხბურთელი,

რომელიც მეტოქეს დრბინებით ჩამოიტოვებს. ასეთი ფეხბურთელი სიკრეებს ქმნის და მოწინააღმდეგეს მოულოდნელად რიცხობრივ უპირატესობაში ჩააგდებს. დღეს იგი აუცილებელია რაღაც ფეხბურთი მეტად და მეტად დაზარალებული სდებას, ხოლო ასეთი მოთამაშის გამოჩენა განსხვავებულ სიტუაციებს ქმნის.

— რონალდო ვიერიის წყვილზე თქვენს, მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმათა თქვენ რას იტყვით?

— კლასი, ღონე, ფანტაზია, სისწრაფე და ტექნიკა... მეტი რა გინდათ? მაგრამ საშორანოსაც ნუ დავივიწყებთ. იგი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მთლიანად გუნდისთვის და კერძოდ. იმ ორი ფეხბურთელისთვის, ზემოთ რომ ახსენეთ. იმედი მაქვს, რომ ეს წყვილი სეზონის განმავლობაში საშორანოს ნაირი გამოცდილი პროფესიონალისგან ბევრს ისწავლის. რონალდოს „კოპა ამერიკაზე“ ვაკვირდებოდი. ძალიან გამოცოცხლებულა. პატივს ვცემ მის დიდ მონდობებსა და თამაშის სურვილს.

— ბერუცი და კანდელა?

— ფეხბურთელსა და კლუბს შორის მოლაპარაკებებში არასდროს მიმიღია მონაწილეობა. ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ბერუცის იმედი შევკრებ. რაც შეეხება კანდელას, ალბათ გაძლიერდება, თუ არა და სხვა მოთამაშეთა გამოყენება მოვიხილავ.

— იტალიის საუკეთესო გუნდთან რომელი ჩანს გაძლიერებულად?

— „ფიორენტინამ“ შეადგინა ძლიერი გუნდი. მგონი ტრაპატონი სამი თავდასხმელით ითამაშებს.

— პროფესიული თვალსაზრისით, რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ორი გუნდი მომწონს, რომელთაც თავდასხმელთა ტრიო ჰყავთ: „ფიორენტინა“ (ბატისტუტა, მატოვიჩი და კიუზა) და „რომა“ (ტოტი, დელვეკიო და მონტელა).

— „ინტერში“ ნებისმიერ პოზიციაზე გავით გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელი. გააყვით იმას, რასაც ლუჩესკუ აყვით ანუ ვარჯიშებზე ახალგაზრდას გამოცდილთა წინააღმდეგ ითამაშებთ?

— არა. მე მინდა გავაკეთო გუნდი, სადაც სხვადასხვა ხასიათისა და მონაცემების ფეხბურთელები ითამაშებენ, ასე რომ, მოთავარი იქნება არა ასაკი, არამედ კონკრეტული ფეხბურთელის კონკრეტული მატჩში, კონკრეტულ ადგილზე საჭიროება. რეკობა, დაბო, კრისტინი მანტი, ზუმანა კამარა და სილვესტრი, ყველანი ახალგაზრდები არიან, მაგრამ სერია A-ში თამაშის გამოცდილებაც აქვთ. ბუნებრივია, 22-23 კაცია გუნდში სხვანაირად ვერ იქნება.

— კრისტინი მანტის რომ გუნდის დატოვება სურს? მას რეგულარულად თამაში უნდოდა.

— ვიცი და ვნახოთ რისი ვაკეთება შეგიძლია. მანტიმ რომ შეისწავლოს ჩემი ყოფილი გუნდები, ნახავს, რომ ყველა მათგანში თამაშობდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები.

— ზოგი სოლზას გამო გამოთქვამს ეჭვს.

— მე კი მისი მჯერა. ორი წელიწადი მყავდა „ოუვენტუსში“ და გარწმუნებთ, პირველ წელიწადს ახლანდელზე ვაკცილებით ცუდ ფორმაში იყო. თუ მას სწორ როლს ვეკურჩევთ, ისე ითამაშებს, ორიოდ ფეხბურთელს რომ შეუძლია.

— ყოველთვის ასე იყო, სეზონის წინ თქვენ ასახელებდით ანგარიშსასაწევ ფეხბურთელს. ახლა რას გვეტყვით, ვინ იქნება მომავალი სეზონის გმირი?

— ყველა. „ინტერის“ ძველი და ახალი მოთამაშეები. აგრეთვე მე, რომელსაც გასული სეზონი ცუდი მქონდა. ამიტომაც ვგონებ, სეზონის გმირები ყველანი ერთად ვიქნებით.

გამამბა დელნი სპორტი თარგმნა მიხეილ სურგულაძემ



რას მილოცავთ, ჯაბლავ ცხენს?!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ბატონო ზურაბ, მოსალოცად ენა არ მიბრუნდება...

— მართალია, რა მაქვს მოსალოცი, ჯაბლავ ცხენზე შევეჯექი.

— მერე, რა ძალა გეღვია?

— ხელობა მაქვს ასეთი, მწვრთნელობა რისკია. მეც უკან არ დავიხიე, მინდა, ჩემი სამწვრთნელო უნარი მაღალ, სანაკრებო დონეზე გამოვავლო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მზად ხართ საბისოლ?

— პროფესიით კალათბურთის მწვრთნელი ვახლავართ. შესაბამისი განათლება ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში მივიღე. სისტემატურად ვმუშაობდი ბავშვთა კალათბურთში, „ვიტას“ დაარსების დღიდან კი ამ კლუბში მეორე მწვრთნელად ვიყავი. თუ არ ჩავთვლით ბოლო ორ წელს, როცა უკვე მთავარი მწვრთნელის რანგში „ვიტასთან“ ერთად ვმუშავებდი, ჩემი პირობები გაეზარდა.

— გვყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით. თანაც საუბარი ეროვნულ გუნდზე.

— როგორ გიყვართ ჟურნალისტებს კირკიტა... არც ისე ახალგაზრდა ვარ, თქვენ რომ ფიქრობთ. სამი შვილის მამა ვარ, საცაა ორმოცი წლის გავხდები. ჩემი ტოლია ჟალო ორადიოვიჩი და ყველაფერი მოგებული აქვს, ოცდაცხრამეტი „პარტიზანს“ ევროლიგის თასი ააღებინა. რაღა შორს მივდივარ, ლევან მოსეშვილმა ოცდაცამეტისამ „დინამო“ ჩაიბარა.

— აღმასკომის სხდომაზე მისულმა უკვე იცოდათ, რომ ნაკრების მწვრთნელად გინიშნავენ?

— გადაჭრით არა. ყველაფერი მაინც აღმასკომის წევრთა უმრავლესობას უნდა გადაეწყვიტა, ის კი ვიცოდი, რომ ფედერაცია დაინტერესებული იყო ჩემით. ამის თაობაზე რამდენჯერმე მიმანიშნეს კიდევ საუბრისას, თუმცა მოვლენების ასე უცებ განვითარებას, სიმართლე ვითხრათ, არ მოველოდი. რაღა მეტქმის, მათ ნდობა გამომიცხადეს, მაღლობით ვარ.

— კონტრაქტის პირობებზე თუ შეთანხმდით თქვენ და ფედერაცია?

— არავითარი კონტრაქტი. აღმასკომის სხდომაზე ნაკრების მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად კი დამამტკიცეს, მაგრამ რა ვადით, ეს არ დაუშუსტებიათ. არც რაიმე კონკრეტული მოთხოვნები წაუყენებიათ ჩემთვის.


— ცხადია, ევროპის ჩემპიონობას გეგმათ მოგახსოვთ. ახლა მთავარია, რაც შეიძლება, მალე დაგაღწყოთ თავი ჭაბახს, რომელშიც ქართული კალათბურთი ეფლობა...

— მე თუ მკითხავთ, უკვე გვარია ნად არის ჩაფლული. ჩვენი კალათბურთი ევროპაში თავისთვის შეუფერებელ ადგილზე იმყოფება. ამის უკან აღარაფერია, მარტო ხრამია. ძალიანაც რომ მოვიინდომო, ქართულ კალათბურთს ამაზე უკან ვეღარ დავწევ უარესი ისე იქნება, ნაკრებს საერთოდ თუ დაეშლით და ქვეყანაში კალათბურთის თამაშს აკრძალა.

— ბატონო ზურაბ, მწვრთნელის შეცვლა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბუნებრივად, თქვენ და ლევან მოსეშვილის საკალათბურთო შტაბს დაუღლებიც განსხვავებული იქნება, მაგრამ... ალბათ, თქვენც იმავე პრობლემებს წააწყდებით, რომელიც მოსეშვილსა და საქართველოს ნაკრებს აქამდეც აწუხებდა...

— მშვენივრად მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ. ამ საკითხზე უკვე ვსაუბრე ფედერაციას, მათი აზრი შევტყვევებ და ჩემსა შევაჯერე. საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მივიღე: ფედერაციამ ისეთი პიროვნებები მუშაობენ, რომ თუ მათ ოდნავ მაინც საშუალება მიეცათ და ანგარიშზე თანხა გაუწინდათ, ისინი ამ ფულს უპირველესად ეროვნულ გუნდს მოახმარებენ. ამაში დარწმუნებული ვარ.

სხვა მხრივ კარგად ვიცი, რა პირობებში მომიწევს მუშაობა. ამას შეგუებული ვარ და ფედერაციისთვის არანაირი მოთხოვნების წაყენებას არ ვაპირებ. მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ.



ზურაბ ტიმციავე

— ცოტა არ იყოს, ხმახმალი, ამისთანავე ოპტიმისტური განცხადება გამოვივიდათ. ხუთთუ ამ პირობებშიც შესაძლებელია რაიმე წარმატებანი ფიქრო?

— მე არ ვამბობ, რომ ქართულ კალათბურთში რევოლუციას მოვახდენთ. ეს შეუძლებელია. მთავარია, მკვალი წერტილიდან დავიდეთ.

— და გვართ, რომ ამას შეძლებთ.

— კარგად ვიცი ჩვენი კალათბურთის პოტენციალი, სამწარეულოშიც მშვენივრად ვარ ჩახედული. აქედან გამომდინარე, ჩემი მოსაზრებები გამაჩნია. ნათლად ვხედავ რეზერვებს, რომელსაც ჩემი ნაკრები მუშაობის პერიოდში ავაშოქმედებ.

— იქნებ გაგივიხილოთ, რას გულისხმობთ.

— მოკლედ გეტყვით. აუცილებლად მოსაწყვრივებელია დაცვითი თამაში, გასაუმჯობესებელია კალათბურთელთა ფიზიკური კონდიციები, ასევე, ჩემი აზრით, მთლიანად შესაცვლელია გუნდის ტაქტიკური მონახაზიც.

— ტაქტიკური ქმედების თქვენური მოსაზრებები „ვიტას“ ფინალურ თამაშებზეც ცხადად გამოჩნდა. ალბათ, ძირითადად ამ ტაქტიკურ ჩონჩხზე აგება მომავალში ეროვნული ნაკრების თამაშში.

— ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ ნაკრებში სხვა შემსრულებლებიც იქნებიან, ამიტომ „ვიტას“ ანალოგიური ტაქტიკის ეროვნულ გუნდში განხორციელება არ გამოგვადგება.

— როგორ აპირებთ მოთამაშეთა ფიზიკურ მოძლიერებას?

— უკვე შევარჩიე ოცდაათხუთმეტი კანდიდატი, რომელთაც ნაკრებში მოხვედრის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი აქვთ. ყველას წაუყენებთ გარკვეულ მოთხოვნებს, კალათბურთელს მიეცემათ ინდივიდუალური ვეგამა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მათგანი ნაკრებს მიღმა დარჩება. ფიზიკურ კონდიციებს ყველამ თავისით უნდა მიხედოს. მე ამაზე დროს არ დავაკარგავ არ უნდა? კარგად იყოს.

— რამდენად შეეფერება სიმართლეს კულუარებში მოარული ხმები, თითქოს მწვრთნელად ტიმციავეს დაწინაურების შემთხვევაში ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდად „ვიტას“ იქცევა.

— ასე იყო ბესიკ ლიპარტელიანის მწვრთნელობისას, თუმცა მაშინ მას სხვა არჩევანი არც ჰქონდა და სწორი იყო, ასე რომ იქცეოდა. ახლა სხვა მდგომარეობაა, სიტუაცია შეიცვალა... ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს მოთამაშე ვითვლი იქნება, აზოტებით თუ დინამოელი. მთავარია, ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ისე, „ვიტადან“ მართლაც ვაპირებ რამდენიმე მოთამაშის აყვანას. ეს ნორმალური პროცესია და არანაირი კავშირი არ აქვს იმასთან, რომ მე ამ კლუბის მწვრთნელი ვარ.

— სულ ახლახან ბესიკ ლიპარტელიანი ახსენეთ კარგად ვიცი თქვენ და ბატონი ბესოს მეგობრული დამოკიდებულებაც, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ...

— ბესომ ჩემთან საუბრისას უკვე გამოხატა თავისი პოზიცია. მას არანაირი სურვილი არა აქვს, ნაკრებში იმუშაოს. არამცთუ მეორე, პირველ მწვრთნელადაც კი.

— მაშ, ვის დაიხმართ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. რამდენიმე მწვრთნელს ამაზე უკვე ვსაუბრე, თუმცა გადაჭრით არაფერი თქმულა. ჩემი სურვილია, ეროვნულ გუნდში კიდევ სამი-ოთხი მწვრთნელი დავასაქმო. ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად იქნება „ვიტაში“ ჩემი დამხმარე გელა წულაძე — იგი ნაკრებში ასისტენტად იმუშავებს. მეორე მწვრთნელზე ჯერ კიდევ ვფიქრობ, არ მინდა, ავჭარბდე.

— თქვენს უახლოეს გვეგებში თუ შედის თეორიული ცოდნის გაღრმავება?

— რასაკვირველია. ფედერაცია თანახმაა, რომ უახლოეს მომავალში მე და მეორე მწვრთნელი საერთაშორისო სემინარებზე მიგავლინოს. კონკრეტულად სად და როდის, ჯერ არ ვიცი. გარდა ამისა, უცხოეთში მოთამაშე ჩემს კალათბურთელს დაველათ, ფაქსით გამოგვიგზავნონ როგორც თანამედროვე ლიტერატურა, ასევე მათი კლუბების ტაქტიკური ვარიანტები.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ ლევან მოსეშვილის დიდი ავტორიტეტი მოთამაშეებში კრძალვას, გარკვეულწილად შიშსაც იწვევდა. თქვენ შემთხვევაში ვეგებზე, ასე იყოს. „ვიტას“ მაგალითზეც რომ ვიმსჯელოთ, თქვენ უფრო მეგობრულ ურთიერთობებს ამჯობინებთ კალათბურთელთა შორს. ხომ არ ვცდები?

— არა, სწორად შეგინიშნავთ. თუ მეგობრული ატმოსფერო არ იქნა, ისეთ ადგილზე ვერც ვიმუშავებ. „ვიტაშიც“ არიან ევრეთ წოდებული რთული პიროვნებები, თუმცა მათთან საერთო ენის გამოხატვა არასდროს გამჭირვებია. ასეთი მოთამაშეებთან მიდგომის ჩემუფრო მეთოდია, რაც საერთო დისციპლინას არ უგულებელყოფს. საკალათბურთო მოედანზე უკლებლივ ყველა ერთი მიზნით უნდა ვიყოთ ანთებული.

— წელიდან ბრძანებით, ოცდაათხუთმეტი მოთამაშეს დაგადგი თვალით. ალბათ, მათ შორის კანდიდატა ნაკრების წევრებიც იგულისხმებთ. მათი სახით მართლაც კარგი თაობა ეზრდება ქართულ კალათბურთს.

— ზოგიერთი მათგანი თავის დროზე პირველ გუნდშიც გამოიცილება და ეს მალე მოხდება.

საერთოდ ამ საკითხზე ასეთი მოსაზრება მაქვს: ყველა ასაკის ნაკრები ერთი სისტემით უნდა ვარჯიშობდეს, ამით თავიდან ავიცილებთ თაობათა შორის დაქსაქსულობას და ამა თუ იმ ახალგაზრდასაც უმტკივნეულოდ შეეძლება დიდი ნაკრების ანსამბლში ჩაჯდომა. ახლა შესაძლებელია სისტემა, რომელი კურსითაც მწვრთნელები ნორჩებთან მუშაობას წარმართავენ.

— მინდა სტეფანიაზე დაგეგოთ თხოთ. რა თქმა უნდა, ვოვა თქვენს ნაკრებშიც მოიპოვებთ, თუმცა მისი აქ ჩამოყვანის და ეროვნულ გუნდში თამაშის რეალური პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. თქვენ არ იხილეთ შემდგომში საბისოლ?

— ამაზე საუბარი ნაადრევად მჩვენება. სტეფანია ნებისმიერი მწვრთნელისთვის სასურველი მოთამაშეა.

— იმდენად სასურველი, რომ მის დასაზღვევად და შევიცარიში ჩასაყვანად აუცილებლად უნდა გამოინახულიყო თანხები. ის ფული წყალში არ ჩაიყრებოდა, ვფიქრობ, სტეფანიას გაძლიერებული ნაკრები აუცილებლად დაიძვედა შევიცარიში ევროპის ჩემპიონატის საყვავიფიკაციო ტურნირს.

— ვერაფერს ვეტყვით...

— კარგით. თუ ასეა, ერთსაც გეოთხავთ: პირველად როდის უთავაკცებთ ნაკრებს?

— ექვს სექტემბერს თურქეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშები გაიხსნება, სადაც ჩვენი ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. რადგან ეს შეჯიბრი ფობას ევლით არ ტარდება, ტურნირზე ლეგიონერების გარეშე გამოვალთ. ჩემი ნათლობაც სწორედ თურქეთში შედგება.

გიორგი ბიკაშვილი

რუსთაველი გაბოძა აპერიკალით კლავირზე

ვოლკოვმა პრეზიდენტობა დათმო

კომარჩის თასზე რუსთაველი „ზოტის“ მეტოქე უკრაინული „ბეკ კიევი“ სერიოზულად ემზადება მომავალი სეზონისთვის. კლუბის მფლობელმა და პრეზიდენტმა, ახლა უკვე უკრაინის სპორტის მინისტრმა ალექსანდრ ვოლკოვმა ჯერ ამერიკაში წაიყვანა კალათბურთელები და ოთხი მატჩი ათამაშა. კიეველებმა ორი მოიგეს, ორიც წააგეს. გუშინ „ბეკ კიევი“ ესპანეთის ქალაქ მალაგაში გაემგზავრა, სადაც წინასასეზონო შეჯიბრებს გაივლის.

ამჟამად გუნდში სამი კონტრაქტვაფორმებული მოთამაშე ირიცხება: გრიგორი ხინიაკი (217 სმ), სტანისლავ მედევენიკო (208 სმ) და ანდრეი სვირიდოვი (212 სმ). მათ გარდა გუნდთან ერთად ვარჯიშობენ ოლეგ იუშკინი (194 სმ, ეკუთვნის ოდესის „ბიპა მოდას“), სტანისლავ ბალაშოვი (210 სმ, ბიპა-მოდა), რომან დოროშენკო (200 სმ, ბიპა-მოდა), ანდრეი ლებედევი (187 სმ, ნიკოლაევი), ალექსანდრ ნიკოშაქა (202 სმ, ბუდიველინი), კონსტანტინ გალენკინი (207 სმ, თამაშობდა პო-

ლონეთში), იური შაპოვალოვი (188 სმ, აზოლასკეტი).

პრაქტიკულად გადაწყვეტილია „ბეკ კიევი“ ამერიკელი კვრტის მაკენტისის გადმოსვლა. ეს 183-სანტიმეტრიანი უკანახული ამერიკაში შეხვდა ვოლკოვს და კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკა. ახლა მაკენტისი ესპანეთში ჩავა და კიეველებს შეუერთდება. ბოლო ორი სეზონი მაკენტისმა ისრაელში, თელ ავივის „ჰაპოელში“ გაატარა და საშუალოდ მატჩში 21 ქულას და 5 პასს აკეთებდა.

ამასობაში ვაირკვა, რომ „ბეკ კიევის“ პრეზიდენტი შეეცვლება. ალექსანდრ ვოლკოვს უკრაინის კანონმდებლობა და სპორტის მინისტრის პორტფელი არ აძლევს პოსტზე დარჩენის უფლებას. ამერიკიდან იგი საპატიო პრეზიდენტი იქნება, ხოლო „ნაღდ პრეზიდენტად“ ალექსანდრ დონეცი იმუშავებს. გარკვეულია მწვრთნელის საკითხიც. აქამდე ამ თანამდებობაზე თავად ვოლკოვი იყო, ხოლო ვინ იქნება მომავალში, ჯერჯერობით უცნობია.

ბენდერი, ოლონდ არა ოსტაპი

ოსტაპ ბენდერმა ფულის შოვნის 400 ხერხი იცოდა. ჯონათან ბენდერმა, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი იცის, მაგრამ ისეთი, რომელზეც ოსტაპი ვერც იოცნებებდა. იმიტომ, რომ მაშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია არ არსებობდა.

18 წლის ჯონათან ბენდერი გახდა ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელმაც ნბა-ს გუნდთან კონტრაქტი დადო. ამასთანავე, ლიგის მოთამაშეთაგან იგი გახლავთ მეორე, ვინც 80-იან წლებში დაბადებულია. პირველი ელ პარინტონი იყო, რომელი შარშან „ინდიანაში“ აიყვანა. ბენდერი წლებადელი დრაფტის მეხუთე ნომრად აირჩია „ტორონტო რეპტორზმა“ და იმავე საღამოს გაუცვალა „ინდიანა პეისერსს“ ანტონიო დევისში. ეს გარიგება მხოლოდ სიტყვიერი იყო, მისი გაოფიციალურება კი 1 აგვისტოს მოხდა, იმ დღეს, როცა ლიგაში ოფიციალურად გაიხსნა ტრანსფერების სეზონი. „ინდიანაში“ ხუთშაბათს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ბენდერს. ამ ხანში მოთამაშე 5,8 მილიონ დოლარს მიიღებს. თუ კლუბი მეოთხე წელიწადსაც მოსურვეებს კალათბურთელის დატოვებას, მაშინ მას დაბატებით 2,5 მილიონი დოლარი უნდა მისცეს.

211-სანტიმეტრიან და 100-კილოგრამიან ბენდერი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოხვდა. ამ ზაფხულს იგი თითქოს აპირებდა მისიხიპის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასვლას, მაგრამ გადაიფიქრა. პირველ პროფესიულ სეზონში ჯონათანს 1,8 მილიონ დოლარს გადაუხდან.

ტერი პორტერი ჩეპიონს მიჰქადა

მეოცეწლიანი საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონმა „სან ანტონიო სპურზმა“ უკანა ხაზი გაიძლიერა და ექსპანაძელი თავისუფალი აგენტი ტერი პორტერი დაიმატა. არაოფიციალური ცნობებით, კალათბურთელი სამ წელიწადში 6,6 მილიონ დოლარს მიიღებს. 36 წლის პორტერი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1985 წელს მოვიდა — იგი „პორტლენდ თრიულ ბლეიზერსმა“ აირჩია დრაფტის პირველ წრეში. ამ გუნდში ტერიმ 10 სეზონი გაატარა, მომდევნო სამი — „მინესოტა ტიმბერვულვზში“, ხოლო ბოლო ერთი — „მაიამი ჰითში“. პორტერს ლიგაში 1054 მატჩი უთამაშა და საშუალოდ 13,3 ქულა, 6,2 პასი და 3,1 მოხსნა გაუკეთებია. 1990 და 1992 წლებში „პორტლენდის“ რიგებში ასოციაციის ფინალში უთამაშა: პირველად „დეტროიტთან“ დამარცხდა, მეორედ — „ჩიკაგოსთან“. 1991 და 1993 წლებში პორტერმა ოლ-სტარშიც მიიღო მონაწილეობა.

ბოსტონის თვალის ჩინი

„ბოსტონ სელტიქსმა“ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსალი კალბერტ ჩინი აიყვანა. კონტრაქტი სამწლიანია, ოლონდ ფინანსური საკითხები უცნობია. ის კი ნაღდა, რომ წინა სეზონში, ყოფილმა გუნდმა „ვაშინგტონ ვიზარდსმა“ ჩინის 4 მილიონი დოლარი გადაუხდია.

201-სანტიმეტრიანი კალათბურთელს ლიგაში თამაშის ექვსწლიანი გამოცდილება აქვს, რომელიც ერთ გუნდში, „ვაშინგტონში“ დააგროვა. მას თანაბარი სიძლიერით შეუძლია ითამაშოს ოთხ პოზიციაზე (ცენტრის გარდა) და სწორედ ამ გარემოებამ მოხიბლა „სელტიქსის“ მწვრთნელი რიკ პიტინო. სტუდენტობას ჩინი ინდიანის უნივერსიტეტში თამაშობდა და 1993 წელს ლიგის საუკეთესო მოთამაშე გახდა. სწორედ იმ პერიოდში მოსწონს ჩინი პიტინოს, რომელიც მაშინ კენტუკის უნივერსიტეტს წვრინდა.

კალბერტს პროფესიული კარიერის მანძილზე მატჩში საშუალოდ 12,7 ქულა და 3,5 მოხსნა დაუგროვებია.

CAMPEONATO AFRICANO MASCULINO

აფრიკის ჩემპიონატი. 29 ივლისი - 6 აგვისტო. ანგოლა

ნახევარფინალი. 5 აგვისტო

ნიგერია 69:54 ეგვიპტე	ანგოლა 77:69 მალი
ნიგერია: ოგუნდორე (2), საბული (2), ოგუნჯო (6), ანა (12), ოგუნჯო (9), ავოჯობი (26), ენუ ოიეფევი (4)	ანგოლა: მორიანუ (3), ა. ვიტორიანუ (11), კრისტოვანუ (1), ე. ვიტორიანუ (13), კარვალუ (11), გომეზი, დიასი (7), ალმეიდა (4), ლუტონდა (12), კონსეისაო (15)
ეგვიპტე: ჰუსეინი (10), მუჰამედი, ელ-სა-იფიდი, ელ-ვახაბი (9), შასანი (10), ელ-ლანამი (4), ისმაილი (7), ალი, ელ-აზი-ზი, ელ-მოტალიბი (3), საქირი (6), ორაბი (5)	მალი: ნუჰუმი, დიარა, დიაკიტე (16), კანტი (12), პ. ტრარევი (11), კონატე (5), სი (2), დიავარა (14), ი. ტრარევი (5), ელ-სუჰარე (1), საბავე (2)



მამიკლ ბერკოვიჩის რჩეული საპრიმო ფურცლები

თუბტული თბმტცამერტუ

ამ ამბავს ბოლოდან კი ვიწყებთ, მაგრამ ასე იმიტომ გადავწყვეტიტე რომ მას მინც ვერ გაუგებ თავსა და ბოლოს.

მამინ მას კასიუს კლეი ერქვა. 1964 წლის 25 თებერვალს იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ტიტული სონი ლისტონს წაართვა. ამ ამბავს დიდი ხმაური მოჰყვა ლისტონმა ფერდის, ნენის, ლეიბის, თუ ელენის აუტანელი ტკივილი მოიმიზუნა და ბრძოლა წაგო. უფრო სწორად შეწყვიტა.

სონი ლისტონი „ვიდაც“ არ იყო. „მურა დათვალ“ წოდებულს მკვლელის სახელი ჰქონდა. საკრივო მაფისთან ჩახუტებული ვინმე გახლდათ. მოკრივე — ძალიან ძლიერი, კაცი — უაღრესად ბნელი, ხასიათი — საშიში, გამმეტებელი. ბრძოლის შემდეგ — ხმაური, ეჭვები, სენატის კომისია და მატჩ-რევენში.

ჩემპიონი კლეი პრეტენდენტ ჩარლზ სონი ლისტონის წინააღმდეგ.

მე ვიხსენებ:

ლუისტონი. 1965 წლის 25 მაისი. ღამის ათი საათი. მენის შტატის ამ პატარა ქალაქში, ეს წუთია დასრულდა მატჩ-რევენში. კლეიმ პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დასცა ლისტონი.

ყველაფერ ამას პრესლოფის მეხუთე რიგიდან ვადევნებდი თვალს, ახლა კი ლისტონის გასახდელის კართან ვდგავარ სხეებთან ერთად და ველი, როდის შეგვიშვებენ.

აჰა, კარი გაიღო. ოთახში ხუთი კაცია. სონი ლისტონი ესესაა შხაპიდან გამოსულა. მასაყის მაგიდაზე მჯდომს თავისი უზარმაზარი ხელები მუხლებზე დაუწყვია და ფეხებს ისე აქანავებს, თითქოს მდინარეში ცერების დასველება სურსო. ცისფერი პერანგი აცვია და კეფაზე თეთრი ბერეტი მოუდგია. იატაკს ჩაჩერებია და ეტყობა — გასაქცევად მზადაა. ოთახში კიდევ ოთხი კაცია, მათ შორის მისი მწვრთნელი უილი რედიმი.

— რომელმა დარტყმამ წაგაქცია სონი? — სწრაფად ეკითხება ვიდაც.

— მარჯვნიდან იყო, — პასუხობს ლისტონი.

— დაინახე?

— თვალი ვკიდე.

— მოულოდნელი იყო?

— შეიძლება... ერთგვარად... — კვლავ იატაკს ჩაშტერებია.

— რატომ ვერ წამოდექი?

— იმიტომ რომ ველოდი, როდის დაიწყებდა რეფერი თვლას. ეს ჩემი უფლებაა...

— ამით რისი თქმა გინდა?

— მე ნებისმიერ წამს შემიძლო წამოდგომა, მაგრამ ვფიქრობდი, „რვას“ რომ მიადწევს ავღებები-მეთქი, მაგრამ რეფერიმ არ დათვალა.

— ჰო, მაგრამ შენ ათ წამზე დიდხანს იწყე. სცადე და ვერ ადექი...

— მართლა?

— დარტყმამ შეგარყია?

— არა.

— ახლა რას აპირებ?

— ხელახლა დაწყებას. მაგრამ ეს ძნელი იქნება...

უილი რედიმი მხარზე ხვევს ხელს თავის შევირდს და უფრო ჩვენს გასაგონად ამბობს:

— წავედით, სონი...

ლისტონი მაგიდიდან ჩამოსტება და დაუმშვიდო-

ბებლად მიეშურება კარისაკენ. ნაცემ ნაგავს ჰგავს. ხელში რედიმის თანაშემწე ჯო პოლინოლა გვჩნება.

— მინც რა მოხდა? — ვეკითხები მე.

— არ ვიცი. როცა ეგ მოხდა მე რინგთან წყლიან სათლს ვდგამდი. თავი რომ ავწიე, სონი უკვე ეგლო.

— რედიმი რას ამბობს?

— არც მას დაუნახავს რამე.

— და რა მოილოქმედეთ, როცა გამხლართული სონი დაინახეთ?

— ვუყვიროდი, ხელებს ვცემდით ფიცარნავს. სონი არ აპირებდა დანებებას. ასე გამოვიდა.

— ჰო, მაგრამ, ის არ წამოდგა, — არ ვეშვებოდი მე.

— მე არ გამიგონია, რომ რეფერის დაეთვალოს. არც დაინახავს.

— რატომ არ გააპროტესტეთ?

ჩემი კითხვა უპასუხოდ რჩება. პოლინოც დაუმშვიდობებლად გეტოვებს.

დარბაზში ვბრუნდები. რეფერის ნახვა მინდა. საკვირველია, მაგრამ ის კვლავ რინგზეა. მთელი საათია აქაა.

რეფერი ჯერსი ჯო უოლკოტია, ერთ დროს თავადაც მძიმე წონის ჩემპიონი, მარჩიანოსთან მებრძოლი კაცი. სამი ჩემპიონი იდგა იმ საღამოს რინგზე. ბედი არ გინდა?

— რომელმა დარტყმამ წააქცია ლისტონი? — ვეკითხები.

— კლეის არც უნდოდა კუთხეში დადგომა.

— ამის სათქმელად მოხვედით?

— არა. წესებით თვლა მხოლოდ მაშინ იწყება, როცა მოწინააღმდეგე ნეიტრალურ კუთხეში დგას, ასე არ არის?

— ეგებ ასეც იყოს, მაგრამ რეფერი უძღურია. როდესაც ლისტონი წამოდგა და საბრძოლველად გაემზადა, მაკონაფმა და ნეტ ფლეიშერმა მითხრეს, რომ თვლა თორმეტს ასცდა და ბრძოლა შეწყვიტე...


ქუჩაში კი მთელი ლუისტონი იდგა და ორი ზანგის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა. წამხდარ სანახაობის მთავარ დამნაშავეებად სწორედ კლეისა და ლისტონს თვლიდნენ.

ვინ დაობს? კლეის მარჯვენა მართლაც მოხვდა ლისტონს, მაგრამ იმისთვის, რომ ნოკაუტში ჩააგდო მოკრივე, რომელიც კარიერის მანძილზე ნოკდაუნშიც კი არ მოხვედრილა, ასევე მეტია საჭირო. მოკლავ მათათი სპილოს? ანდა წააქცევ გორილას წიკპურტით? ანდა, შეაჩერებ მარტორქას რქაზე გაზეთის ჩამოხვევით? მეტი არც კლეის მოქნული იყო.

ახლა კი ფრენკი მაკლონაფს მიუბრუნდეთ. სწორედ ის იყო იმ საღამოს ქრონომეტრისტი. მოხუცი ასოთამწყობი, რომლის სახელიც მთელს ამერიკას მოედო.

როდესაც ლისტონი ფიცარნავზე გაიშხლართა, კლეი უკანასკნელი ხულიგანივით ცდილობდა მისწვდომოდა წაქცეულს, ილანძლებოდა და ხელ-

სონი და კასიუსი სისრუეთა ისტორია



სპექტაკლის ბირველი წამი. კლეი გამხლართულ ლისტონს ემუქრება

— ჯერ მარცხენამ, მერე მარჯვენამ.

— მას მარჯვენა მოხვდა და ისე წაიქცა, — ვახსენებ მე — ცაცია არც კი შეხებია.

— არა, არა, ორი დარტყმა იყო.

— ზოგიერთს კი, — შეტევაზე გადავიდი — ერთიც არ შეუძწივია.

— არა, არა. დარტყმა იყო.

— ლისტონი ამბობს, რომ არც კი დაგივლიათ.

— სონი ცდება. ეგეც არ იყოს და თვლა მე არ მეხება. ეგ ქრონომეტრისტის საქმეა. მე ვცდილობდი, ნეიტრალური კუთხისკენ გამედენა კლეი, ის კი მიძალიანდებოდა, — უოლკოტი რინგს ავლებს თვალს — აი, იქეთ.

ფენს იქნედა. რეფერი უოლკოტი ცდილობდა, კუთხეში მიეყვანა ალო... სწორედ ამ დროს, ისე, რომ რეფერისთვის არც კი უნიშნებია, მაკონაფმა ქრონომეტრისტის ხის ჩაქუჩი აღმართა და კაკუნი დაიწყო. თითო დარტყმა — თითო წამი.

ასე აკაკუნებდა, სანამ უოლკოტი არცთუ სწრაფად და წარმატებულად მიედენებოდა გავემუბულ კლეის კუთხისკენ.

მე მაკლონაფს იმავე საღამოს ველაპარაკე.

— „ათი“ რომ დაეთვალე, ვცადე უოლკოტი-თვის დაშეძახე. ხმაური იყო. ვერ გაგვგონე მერე ხელებით ვანიშნებდი. არ მიფურებდა. ჩემი წამხობი უკვე „თორმეტს“ უჩვენებდა.

— თორმეტს? — გაუცდი.



ჭერ კიდევ კლეი — ფულს თვლა უყვარს

— ჰო, — თვალიც არ დაუხამხამებია.

— მერე რა ჰქენით?

— წამხობი გავაჩერე და ხელახლა ჩავრთე.

— დაბნეულხართ.

— რასან რეფერის ვერ გაგვგონე, ხელახლა უნდა ჩამერთო, — თითქოს ადუღდაო.

— მეორეჯერ რომელ რიცხვამდე ახვედით?

— რვაამდე. ჯამში ოცი გამოვიდა.

— ეს რა გამოდის? პირველად ნოკაუტი დათვალეთ, მეორედ ნოკდაუნი. ესე იგი, ლისტონს ბრძოლის გაგრძელება შეეძლო?

— ჯამში ოცი იყო. ლისტონს არ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

მაკლონაფის შეცდომა ის იყო, რომ რეფერი-სთან შეთანხმების გარეშე დაიწყო თვლა, თუმცა, ის ყველაფერს უოლკოტის დაბნეულობას აწერდა. მაგრამ უოლკოტმა ვერ მოიცილა. რამ დააბნია რეფერი?

უკეთესი იქნებოდა, გვეკითხა — ვინ?

ვინ და კასიუს კლეიმ. იმის მაგივრად, რომ ბრძოლის ვენტლმენური წესები დაეცვა, აღიმ გაშხლართული ლისტონის გარშემო მისთვის ჩვეული ცეკვა წამოიწყო და ღრიალს მოჰყვა: „უსაქმურო. რას დაგდებულხარ? ადექი. ადექი, შე ტიკიმასხარავ! ხალხმა შენს ჩხუბში ფული გადაინხადა, შენ კიდევ დაგდებულხარ და ხვრინავ“.

მაკლონაფს ჯერ ხუთამდეც არ დაეთვალა, როცა კლეიმ ხელები აღმართა და ზეიმი დაიწყო.

გავიდა ნახევარი საათი და კლეიმ ვერ გაიხსენა რომელი ხელით მიაყენა სანოკაუტო დარტყმა ლისტონს.

— მგონი მარჯვენა იყო... მაგრამ ზუსტად ვერ ვიტყვი. უკეთესია, ჩანაწერი ვნახოთ, — გვეითხრა მან. სონი ლისტონმა ყოველგვარ ინტერვიუზე უარი თქვა და თავის ვილაში ჩაიკეტა. ამ ვილის გვერდით დიდებული სასტუმრო იყო. სწორედ იქ ცხოვრობდა ჯერსი ჯო უოლკოტი. ამიტომ მას მივადექი. დალილი და შეწუხებული ჩანდა. სანამ კრივობდა, დარტყმების მოგვიების განსაკუთრებული უნარი გამოარჩევდა. სიტყვა-პასუხიც მომგერიებლისა ჰქონდა.

— დღეს ძალიან ცოტაა დიდი მოკრივე ამერიკაში, — ვიქტურ მივანალე.

— ძველებს არ ჩამოუვარდებიან.

— დემსის, ტანის, ლუისის, მარჩიანოს შედარებით?

— არ ჩამოუვარდებიან, — თითქოს გულუბრყვილოდ მპასუხობს. ხმა ისეთი აქვს, თითქოს აბაზანიდან ველაპარაკებო.

— როგორ ფიქრობთ, კლეიმ მოიგო, თუ ლისტონმა?

— არც კი ვიცი, რა ვითხრათ...

ასეთ კაცს შეეძლო ბრინჯივით დაბნეულიყო. მთელმა საკრივო ამერიკამ კარგახანია იცის — ჯერსი ჯო უოლკოტი ბითური რეფერია. განა ასეთი კვალიფიკაციისა და ინტელექტის კაცს საჩემპიონო ბრძოლის განსჯა შეუძლია? მაგრამ პრომოუტერებს ხომ მესამე ჩემპიონიც უნდოდათ რინგზე? უნდოდათ და...

სონი ლისტონმა და კასიუს კლეიმ სპექტაკლი დადგეს. სონიმ საკუთარი მეგობრებიც კი გააცუ-რა. ერთ-ერთმა მათგანმა ოცდაათი ათასი დოლო ლისტონის გამარჯვებაზე და ღამით ვილაში, პო-ულენდ სპრინგზე მიუვარდა სონის.

ბრძოლა ასხუთ წამს გაგრძელდა. ამ დროში სონი ლისტონმა ექვსასი ათასი დოლოარი აიღო. ამდენი, ამ დროში არც ლიხ ტელიორს აეღო და არც რინარდ ბარტონს.

როკი მარჩიანომ კი მითხრა: „კრივი მკვდარია. დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი“.

(მაიკლ ბერკოვიჩის ეს მცირე მოვონება გარეგნული სურათით თცდათხუთმეტი წლის წინათ ატეხილი სკანდალისა. ხოლო რა ხდებოდა კულისებში კვლავაც ბატონი ბერკოვიცი მოგვითხრობს სსყავგარი სიდიხვითა და სიღრმით, თიონდ — თირი კვირის შემდეგ)

გალიამოვამ ისევ ბაათანაბრა

16 დაგეგმილიდან 6 პარტია უკვე გათამაშდა ყაზანში მიმდინარე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და, შეიძლება ითქვას, მანდილოსნებმა ცალკე ომი დაიწყეს გამორეცხვას — მხოლოდ ორი პარტია დასრულდა ჯერჯერობით მშვიდობიანად და ისიც უშეღავათო ბრძოლის შემდეგ. კიდევ, თითქოს ტრადიციად იქცა — მოიგებს სიუ ფუნი და უკვე მომდევნო პარტიაში გალიამოვა რეგანს იღებს. გუმინაც, მეხუთე პარტიის წაგების შემდეგ, გალიამოვამ მეექვსე მოიგო, თანაც შავებით, ლამაზი პარტია გამოდგა, სიცილიურ დაცვაში ჩინელმა ცენტრი დაიპყრო, მაგრამ C ვერტიკალზე სუსტი პაიკი მიიღო. გალიამოვამ შეუტია ამ პაიკს, მის დასაცავად თეთრების დიდი ძალები შეიტყუა და შემდეგ უკვე მეფის ფრთაზე პაიკებით გარღვევა განახორციელა, განსხვავებული ვერტიკალი და მთელი მძიმე არტილერია (ლაზიერი და ორი ეტლი) ზედ განლაგდა. თავისთვის უმძიმეს პოზიციაში სიუ ფუნმა ჯერ-ორ პაიკში ფიგურა დათმო, შემდეგ კი, როცა ნახა, რომ მეტოქის ეტლსა და კუში ძვირფასი ლაზიერიც უნდა გაეცა, 48-ე სვლაზე წინააღმდეგობა შეწყვიტა. მე-7 პარტიაში თეთრებით გალიამოვა ითამაშებს.

ლას ვეგასში მფობღეგა გვაჯობს

კლინერ შევწუხდით, როცა ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეის მსოფლიოს ჩემპიონატის ბურაბ აზმაიფარაშვილის მეორე წრეში დამარცხების ამბავი გავიგეთ. ბატონ ზურაბისგან, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციით მე-14 მოკა-ღრაკა, აშკარად მეტს ველოდით, თუნდაც ლონდონში გამართულ ფიდეის წინა ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით, სადაც ჩვენებური მერვე-დღიანობაში გაიგა. მით უმეტეს, რომ ოცდაათწლიანი მსოფლიო ჩემპიონატის ფიდეის მომრევი, რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისაიანუ ფიდეის რეიტინგ-ლისტში მხოლოდ 46-ეა. კლასიკური ჭადრაკის წესებით ნათამაშევი ორი პარტია მეტოქეებს გაიმით დაასრულეს, იგივე შედეგი დაფიქსირდა სწრაფი ჭადრაკის წესებით ნათამაშევი პირველ პარტიაშიც, მეორე კი თეთრებით მოთამაშე რუმინელმა მიიგო. მეექვსე მატჩი ფიდეის ფინალშიც, ცხადია, ის გაიგა. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მხოლოდ ერთი ქართველი თამაშობდა (ჩიბურდანიძე პერსონალურად იყო მიწვეული) და იმანაც პირველი ბარიერი ვერ გადალახა, შეიძლება დავასკვნათ, რომ წლებად მსოფლიოს პირველობაზე ქართული ჭადრაკი ცუდად წარმოჩნდა, რასაც ვერ ვიტყვი, მაგალითად, ჩვენს სიმბოლოებზე ფინალში მოთამაშე ოთხიდან სამმა მათმა წარმომადგენელმა მეორე წრე წარმატებით გაიარა და 32 რჩეულში მოხვდა, რაც თავისთავად უკვე წარმატებაა. ამასთან, აკოფიანს, მოვსესიანს და არსიანს, ცხადია, შემდგომი მიღწევების იმედს უნდა ჰქონდეთ.

ზოგადად, ლას ვეგასში ყველაფერი ლივიუ-დიტერ ვითარდება. ჩემპიონატს ჯერჯერობით არც ერთი ფავორიტი არ გამოითვია. თვით შიროვმა და ტოპალოვმა, რომელთაც კლასიკური ჭადრაკის პირველი პარტიები წააგეს, შემდეგ წრეში გასვლა მოახერხეს. მეექვსე მატჩი ფიდეის ფინალში ვერ გაიგა ჭადრაკში ახალდარბუნებული გატა კამსკი, რომელიც ოური ხალიფმანთან დამარცხდა. სამაგიეროდ, ლონდონად ითამაშეს ექვსე მატჩი — კორჩნიომ და ტიმანმა, რომელთაც ახალგაზრდებს ამ ეტაპზე მინც დაუმტკიცეს, რომ ბებერი ხარის რქებზე ანდაზა კლავ უსაფუძვლო ყოფილა.

დავით გულუა

ქალაქი საგადაცემოდან რმსტორანში გაიპარა

მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველმა ფრანგმა ლორან ფალაბერმა „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობა რომ არ მიიღო, ვეხსომებათ. ამით, ჯერ ერთი, ფრანგი სამართალდამცავების მბრძოლვისადმი უპატივცემულო მოპყრობის გამო პროტესტი გამოთქვა და, მეორეც — მას „უეულტასთვის“ ძალების დაზოგვა უნდოდა. „ჟაჟასთვის“ ესპანეთის უმთავრესი შეჯიბრის მოგება ხომ სეზონის მთავარი მიზანი იყო.

თუმცა, კაცს ბჭობდა, ღმერთი იცი-ნოდა... კვირას „კასტილიოსა და ლეონის ტურზე“ ფალაბერი ველოსიპედ-დიდნ ჩამოვარდა, როგორც შემდეგ გაირკვა, გონების დაკარგვის გამო და ლაიფის ძვალს მოიტეხა და ყურის დაზიანება მიიღო.

დაზიანება თავიდან ექიმები ფიქრობდნენ, რომ ლორანს რამდენიმე თვე იძულებითი შესვენება მოუწევდა, რაც თავისთავად „უეულტას“ გამოტოვებას ნიშნავდა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ტრავმა არც თუ სერიოზული იყო.

„ჟაჟა“ მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს, რომლის მთელ პერსონალს ოთხშაბათ საღამოს მან გვარიანი შიში აჯამა. საქმე ისაა, რომ ფრანგმა მბრძოლმა ექიმებისა და ექთნების დაუკითხავად მიატოვა თავისი პალატა და ქალაქში გაიგა... სასაიდლოდ, „სამინლად მოწყვნილი ვიყავი და გადავწყვიტე, საჭმელად გარეთ გავსულიყავი“ — უთხრა ფალაბერმა ჟურნალისტებს, რომლებმაც მასა და მის მეუღლეს მადრიდის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში მიიგნეს.

ექიმებმაც იფიქრეს, ესპანური გუნდის „ონსეს“ ლიდერის საავადმყოფოში დატოვებას და ფოველ საღამოს მის მადრიდის რესტორნებსა თუ ბარებში ძებნას, მისი გაწერა სჯობსო და ხუთშაბათს ასეც მოიტეხნენ.


ახლა ლორან ფალაბერი ორი კვირით შინ დაისვენებს და ძალების აღდგენას ინდივიდუალური ვარჯიშით შეეცდება. „სულ ცოტა, 17 აგვისტომდე მინც უნდა დაისვენოს, მერე კი მის ჯანმრთელობას საგულდაგულოდ შემამოწმებთ და გადავწყვეტ, შეძლებს თუ არა „უეულტასში“ მონაწილეობას“ — განაცხადა „ონსეს“ ექიმმა ნიკოლას ტერადოსმა.

ამ უქმობის პერიოდში მსოფლიოს პირველი მბრძოლი მხოლოდ ფეხების გაავარჯიშებს, თუმცა დიდ დატვირთვებს მოერიდება. ტერადოსის თქმით, ეს „ჟაჟას“ ფორმის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებაში დაეხმარება და „უეულტასში“ გამოსვლის შემთხვევაში იგი გუნდის ლიდერიც იქნება.

ბაიონ თალაკვაძე



რბოლას და სისწრაფის მიჩვეულ ჟაჟას საავადმყოფოში რა გააჩერებდა...



ლოურენს დალალიო

ისევ ბურუსითაა მოცული ინგლისე მორაგებთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ლოურენს დალალიოს მომავალი. მობურთალი ნაკრების მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა გუნდში კი მიიწვია მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ეტაპზე, მაგრამ ქვეყნის რაგბის კავშირი მას ჯერჯერობით მსოფლიოს თასზე ასპარეზობის ნებას არ

შენ რაღა დაგეგმარტა, პედრო?!

კიდეც ორი მორაგბე, რომელთაც შესაძლოა მსოფლიოს თასზე თამაში ვაზნე ღარჩეთ, არგენტინელები — ნაკრების კაპიტანი პედრო სპორლედე-რი და პუკერი მარტიო ლედესმა არიან. საქმე ისაა, რომ ესენი ორი დღის წინ არგენტინის ნაკრების მეორე დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ, რამაც ნაკრებისა და ქვეყნის რაგბის ხელმძღვანელები აღაშფოთა. ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ექტორ მენდესმა პედრო და მარტიო საქმისადმი არაპროფესიულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა, თანაც, ყველაზე ცუდი ის არის, ამას გუნდის კაპიტანი რომ აკეთებს და სხვებსაც ამგვარი მოქმედებისკენ უბიძგებსო. არადა, ეს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისის ნაწილი იყო.

აპატიით! ნაკრებშიც ნაკრებშიც დალალიოს სიტყვა გავრცედა


აძლევს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმები, თითქოს კავშირი მხოლოდ ფულად ჯარიმას აკმატებდა დალალიოს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე იოლადაა საქმე. ეს საკითხი ინგლისის რაგბის კავშირში გუმინ უნდა განეხილათ, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო გადაიდო. როდემდე, ამას დღეს დადგენენ.

რა ძალა დალალიო გუნდისთვის, ყველამ კარგად იცის. თანაც ინგლისელები საუკუნის ბოლო მსოფლიოს პირველობის მოგებას აპირებენ. ნაკრების მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი ამიტომაც ჰუნოვს რაგბის კავშირს, მორაგბეს მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მისცენ: „მათ არა აქვთ უფლება, მსოფლიოს თასზე ასპარეზობა აუკრძალონ დალალიოს, კაცს, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ინგლისის ნაკრებს. შეცდომა ცხოვრებაში ყველას მოსდის, მაგრამ ხომ არ შეიძლე-


ბა, ერთ შეცდომას გადავყოლოთ ადამიანი, მით უმეტეს, რომ მისი დანაშაული ჯერაც არ დამტკიცებულა. თუ ასე მოიქცევა, ინგლისის რაგბის კავშირი უდიდეს შეცდომას დაუშვებს, იმაზე დიდს, რაც ვთქვამთ, თავად დალალიომ მოიმოქმედა“.

მორაგბეს მხარს უჭერს ინგლისის პროფესიონალ მორაგბეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ მუნიც. მისი თქმით, ის, რაც დალალიოს დაემართა, ძალიან ბევრის ხვედრია, მაგრამ მხოლოდ ერთეულს შესწევთ უნარი, დაძლიონ ავადმყოფობა, რომელსაც ნარკომატია ჰქვია. ამიტომაც ქვეყნის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა მისი მიღებისას უპირველესად ეს უნდა გაითვალისწინოს.

ენახოთ. ვისაც რაიმე ეთქმობა, ყველამ დალალიოს დაუჭირა მხარი. საბოლოო სიტყვა ინგლისის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაზეა.



პედრო სპორლედერი



მსოფლიოს თასზე თუ ვერ ივარგა, რაფაელ იბანეს მეკლდეურობაში წაგარჯევა მინც შერჩება

— როგორ ჩაიარა „მამლები“ შეკრებამ?

— პირველ რიგში, ნაკრების ხელმძღვანელობის და ჩემი მიზანი იყო, მსოფლიოს თასზე თამაშს მსურველ ოცდაათივე კანდიდატს სრულად შეგვრძნო და გაეთავისებინა ის პასუხისმგებლობა, რაც მათ, როგორც საფრანგეთის წარმომადგენლებს, აკისრიათ. ეს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების გარეშე მოხდა. მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეს დაველაპარაკე და ყველაფერი აუვხსენი. ვფიქრობ, მათ კარგად შეიგნეს. თანაც ნაკრები მართლაც რომ ერთ გუნდად შეიკრა, ყველაზე რთულ მომენტში მორაგბეები კაცუნად ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

— საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე თქვენზე საუბრობს, როგორც ინგლისური ფაიდის კაპიტანზე, ანუ თქვენს უფლებებზე ნაკრებში სემპლად გაფართოებული... — შეიძლება ითქვას, აქამდეც ხში-

იბანესი ფრანგებს ინგლისურად უკავიბნებს

შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასის მეოთხე გათამაშებისთვის მზადება თითქმის ყველა ნაკრებმა დაიწყო. ფრანგებმა სამდღიანი შეკრება ჩაატარეს პატარა ქალაქ მიოს მახლობლად. ისინი ექსტრემალურ პირობებში თვითგადარჩენის პროგრამით ემზადებოდნენ და შეკრების დამთავრების შემდეგ ისეთი დალოლები და გასავათებულნი იყვნენ, თითქოს სამ დღეში სამი უმძიმესი მატჩი ჩაატარესო. ორშაბათიდან „მამლები“ ვალ-დიზერში გადაინაცვლებენ და იქ განაგრძობენ წვრთნას. ახლა კი მათი კაპიტნის რაფაელ იბანესის მცირე ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც ფრანგულმა გაზეთმა „ლე პარიზიენმა“ დაბეჭდა.

რად ვუზარებდი აზრს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ფან-კლოდ სერელას გუნდის შემადგენლობასა და მომავალი მატჩის ტაქტიკაზე. ახლა კი მართლაც გაცილებით მეტი უფლებები მექნება. გამორჩეულად სამ პრობლემაზე უნდა ვიშუაოთ: პირველი — საკუთარი თავისა და თანაგუნდელების რწმენის განმტკიცება; მეორე — აუცილებელი უფრო მეტად „დაღვინება“ და მესამე — გუნდი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს შეთანამშრული. ამის მისაღწევად კი საჭიროა, საქმეს მონღო-მებით და პროფესიონალად მივუდგეთ. თამაშების შემდეგ სივარტის მოწევაზეც კი უარი უნდა ვთქვათ, მით უმეტეს, როცა წაგავთ. ეს ძალიან ცუდაა სპორტსმენისა და მთლიანად გუნდისთვის. ველინგტონში, „ოლ ბლექსის“ წინააღმდეგ, მეგონა, რომ ჭაბუკების ნაკრების წინამძღოლი ვიყავი. ეს აღარასოდეს განმეორდება! საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებში მხოლოდ ნამდვილი მამაკაცები იქნებიან!

— საშრეთულ ტურნეში ტომა კასტანიედი ვიცეკაპიტანი იყო, მსოფლიოს თასისთვისაც იგივე პოსტი ექნება?

— შემოდგომაზე რამდენიმე კაცი შეასრულებს ამ ფუნქციას. კონკრეტულად ვინ იქნებიან ჩემი დამხმარეები, ჯერჯერობით უცნობია.

— რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიოს თასზე ველინგტონში სამარ-

ცხინო წაგების მერე?

— ჯგუფიდან აუცილებლად უნდა გავიდეთ და მეოთხედინაგუნდური მატჩის მოგებისთვისაც ვიბრძოლოთ. სხვანაირად არ შეიძლება. ახალზელანდიელები ყველა დანარჩენზე ძლიერები არიან, ჩვენ კი გუნდის შექმნა თავიდან გვიწევს. თითოეულმა მორაგბემ თავისი თამაში კიდევ უფრო უნდა დახვეწოს, განსაკუთრებით ეს წინა ხაზის მოთამაშეებს ეხებათ. 1998 წელს ხუთი ერის პირველობაზე დიდი სლემის მოპოვების შემდეგ ჩვენი თამაში სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ახლა დროა, უკან სვლა შევწყვიტოთ და ძველებურად ძლიერად ავითამაშდეთ.

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ 28 აგვისტოს კარდიფში უელსთან გასამართ ტესტს?

— დიდი ხანი არ არის, რაც უელსელებმა სამხრეთაფრიკელი „ქურციკები“ დაამარცხეს (29:19). ამიტომაც ძალიან ძნელი თამაში გველის და ჩვენც ყველაფერი უნდა გავილით გამარჯვებისთვის. კარდიფში მოგების წყურვილით ანთებული უნდა ჩავიდეთ და არა იმიტომ, რომ ფოტოაპარატები ვაჩხაკუნოთ და ახალი სტადიონის სურათებით დატვირთულნი დავბრუნდეთ შინ. უელსელებთან შეხვედრა გენერალური რეპეტიციაა მსოფლიოს თასის პირველი მატჩის წინ (2 ოქტომბერს საფრანგეთი კანადას ხვედბა ბუენოს).

თარგმნა ბაბი ბურულა

საფრანგეთი

II ტური
სიღანი 3:1 ნანსი
10 დებლოვი (5), 20 მიონე (13), 30 კონტი (7), 31 კასკარინო (77)
სტ. მთიანი 0:2 ნანტი
0:1 მონტერუბიო (36), 0:2 სიბირსკი (90)
ლაგანი 1:0 მონაკო
10 მორიერა (40)
პასტია 3:0 სტრასბური
1:0 კაზანოვა (33), 2:0 პეტერსენი (67), 3:0 ნუ (82)

გერმანია

თასის II ეტაპი
ნორდინგენი 0:3 შტუტგარტი
ჰალე 1:2 მიუნხენი
როტშტადტი 2:3 ბოხუმი
ტრირი 1:1 (5:4 პენ.) კარლსრუე
ურდინგენი 0:4 ბაიერნი
გიუტარსლუ 0:1 კობლენცი

პოლონეთი

IV ტური
ვისლა 2:0 რაპინოვოვი
აგიცა 1:2 ლეგია

ავსტრია

VII ტური
ტიროლი 1:0 გრაცერი

გალობა

I ტური
გაბლი 1:5 გინტი

ჩეხეთი

II ტური
იბალონევი 3:1 ტაპლიცა

თურქეთი

I ტური
ბალთასაბანი 1:2 ბაზინათოვი

ექვანება მათ


ჩვენ, 21-ე საუკუნის მიჯნაზე მყოფმა ხალხმა ყველაფერი კარგად ვიცით. რა არ გვინახავს, როგორ ზეიმს არ მოვსწრებივართ. გვინახავს გამარჯვების ნიშნად ჰაერში მოქნილი მუშტი, უზრდელური ყესტი, სირაქლემას ცეკვა, სირივით (ჩიტს ნიშნავს ძველ ქართულად) ფრთების გაშლა, ძაღლების მწყრივი, მშარდავი ფინია, გვერდიგვერდ გაწოლილი ფეხბურთელები და ასე შემდეგ. მათ, 1897 წელს ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ისინი ფრანკფურტში საფეხბურთო კლუბს აარსებდნენ და არც კი ფიქრობდნენ იმაზე, რომ ასი წლის შემდეგ, „აინტრახტის“ საუკუნოვან იუბილეზე, „აინტრახტ“ — „ბაიერნის“ საზეიმო და თან საკონტროლო შეხვედრაში ვინმე ფრანკფურტელი როლფ-კრისტელ გიემიენი თავის გოლს აი, ასეთი მალაყით აღნიშნავდა. ალბათ, როგორ გაიხარებდნენ.



ქაშპაროვი — ისოფლი



1.e2-e4 c7-c5 2.dg1-f3 d7-d6 3.კf1-b5+ კc8-d7 4.კb5:d7+ ლd8:d7 5.c2-c4 მb8-c6 6.მb1-c3 მg8-f6 7.0-0 გ7-გ6 8.d2-d4 c5:d4 9.მf3-d4 გ7:10. მd4-e2 ლd7-e6 11.მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ ა7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. ა2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კ1-ღ5 ლe4-b4 20. ლb6-f7 გ7-ე5 21. h2-h3 ე8a4 22. ე1a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:გ6




სიყვარული

სიყვარული ბრუნავდა და თან ვერტიკალური, ხოლო ეს რომ ასეა — ვისაც არ სჯერა, იმათ გასაგონად ვამბობ — ამ ფოტოებიდან ჩანს ძალიან კარგად. აგერ, ინგლისში, ქალაქ პრისტოლის, „ემტონ კორტზე“ შეკრებილ ხალხსაც არ სჯეროდა ეს ამბავი და 30 საჰაერო ბუმბუტის შემყურე ქილიკობდა, ვნახოთ ერთი, რა ბუმბუტის ფიესტა გამოგივათო, მაგრამ აბა მეორე ფოტოსაც დახედეთ. ხომ ვამბობდი, გაფრინდებიან-მეთქი!



კეროლაინი

ღმერთო ჩემო, რა ცოტა ყოფნის ადამიანს. მაგალითი გნებავთ? აქვია, ფოტოზე. სკოტ სპენსერს რა ასიაშობებს ამქვეყნად ისე, როგორც თავისი გოგონას სიხარული. ამიტომაც ესმარება პატარა კეროლაინს პლაკატის გამოჩენაში. პლაკატი კი „ბიგ მაკს“ მეზუთასე რაღაცისკენ მოუწოდებს. ახლავე ვეტყვი, რაც ხდება. არა, მაკდონალდის ულუფა აქ არაფერ შუაშია. ეს ბიგ მაკი „სენტ ლუის კარდინალის“ პირველი მეტაზე, მოკლედ, ბეისბოლისტი მარკ მაკუაიერია, რომელსაც მშობლიურ „ბმ სტედიუმზე“ „სან დიეგო პადრეზთან“ თამაშის წინ 499 პოუმრანი ჰქონდა შესრულებული. სწორედ მას მოუწოდებდა კეროლაინი მეზუთასე პოუმრანის შესრულებას. მეორე სურათიდან კი ჩანს, რომ ბიგ მაკმა მეზუთასე პოუმრანი შეძლო და კლუბის პრეზიდენტისგან საჩუქრად საკუთარი ქანდაკებაც მიიღო. ამ ფოტოზე კეროლაინი აღარ არის აღბეჭდილი, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ... და მამამისი?



სარბიელი
საერთაშორისო გაზეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის სამაგაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერიანი
დირექტორი გიორგი იოსელიანი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხალაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვირა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლამა ვოლუძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინგიაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ზატიაშვილი; გამო-მშენებელი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზუბაძის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbli